სამშობლო

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

№ 21 (301) გამოცემის მე-16 წელი
1972 წლის 10 ნოემბერი

მშობლიურო ჩემო მიწავ,
შენს საყვარელ სახელს
ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს
დიდებას,
წინაპართა ძვლებს
დავიცავ!

გალაკტიონი



ლენინის დროშით, სამშობლოს დიდების გზით!

ქართველი ხალხი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მცხოვრები ყველა მოქალაქე, დიადი საბჭოეთის ხალხთა ძმურ ოჯახთან ერთად, ახალ გამარჯვებათა სიხარულით შეეგება ოქტომბრის რევოლუციის ორმოცდამეთხუთმეტე წლისთავს. თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ცხინვალში, გორში, თელავში, მახარაძეში, ზუგდიდში, მთელს ქართულ მიწაზე ამ სალხინო დღეებში იდგა ზეიმი ხალხისა, ესოდენ მტკიცედ და სამარადჟამოდ რომ არის გაერთიანებული ხალხთა ძმობის, ერთობისა და შრომის დიდების ლენინური დროშით. შემოდგომის მადლიანი მზე დაჰნათის ალისფრად მოელვარე დროშებით დამშვენებულ თბილისს, გარდასულ დროთა ჟამიანობაში მრავლად ჭირნახულს, დღეს საშვილიშვილოდ განახლებულს, ახალშენებულს, სახლებით, სასახლეებით, გამზირებითა და ტყე-პარკებით დამშვენებულ საქართველოს დედაქალაქს, ქართველი კაცის, დედაკაცის, ახალგაზრდის, მოხუცისა და ბალღის სათაყვანებელ სავანეს, მადლიანი ხელით მოვლილსა და ნაპატიებს, მეგობრის მასპინძლობაში დაუღალავს, მტერთან შეუდრეკელს, საუკუნეთა ავბედობაში ვაჟკაცურად გამოვლილ მარადიულ ჭაბუკს, ზვიადს, მგზნებარეს, მაშვრალს, ტოლუდებს. ხარობს თბილისი და მასთან ერთად მთელი საქართველო, ბედნიერნი არიან თბილისელები, მთელი ქართველი ერი, ერი ძლიერი, ერი მშრომელი, ერი მდიდარი და პატიოსანი.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში ქართული მუსიკალური სიამაყისა და სასიქადულო მამულიშვილის ზაქარია ფალიაშვილის სახელს რომ ატარებს, 4 ნოემბერს გაიმართა ხალხისა და მთავრობის წარმომადგენელთა საზეიმო სხდომა, რომელიც დიდი ოქტომბრის 55 წლისთავს მიეძღვნა. კრების პრეზიდიუმში არიან პავლე გილაშვილი, ალექსი ინაური, შალვა კიკნაძე, პავლე მელნიკოვი, ზურაბ პატარიძე, ედუარდ შევარდნაძე, ალბერტ ჩურკინი, გიორგი ძოწენიძე, შოთა ჭანუყვაძე, გივი ჯავახიშვილი, ოთარ ჩერქეზია, თეიმურაზ მოსაშვილი, ჯუმბერ პატიაშვილი, საპატიო სტუმრები, რევოლუციის ვეტერანები, სამამულო ომისა და სოციალისტური შრომის გმირები.

საზეიმო კრება, რომელზეც მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის პირველი მდივანი პავლე გილაშვილი, კიდევ ერთი გამოხატულება იყო ჩვენი ხალხის, პარტიისა და მთავრობის ერთიანობისა, სამშობლოს დიდების გზით წინსვლისა.

7 ნოემბერს საქართველოში, ჩვენს ქალაქებსა და სოფლებში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი დღესასწაულისადმი მიძღვნილი სახალხო დემონსტრაციები. ეს იყო ჭეშმარიტად სახალხო ზეიმები, რომლებიც კიდევ ერთხელ ნათელყოფდნენ ჩვენი სამშობლოს, ქართველი ერის ბედნიერ აწმყოსა და წარმტაც მომავალს. ოქტომბრის რევოლუციის პირმშო, ნახევარ საუკუნეს მიტანებული მრავალეროვანი საბჭოთა კავშირი, რომლის ერთ-ერთი სრულუფლებიანი წევრია საქართველო, ჭეშმარიტად უძლეველია თავისი სიდიადით, ხალხთა ძმობით, შემოქმედებითი შრომის მგზნებარებით და ყველა ადამიანისათვის მშვიდობიანობის უზრუნველსაყოფად ბრძოლით, უძლეველია ისე, როგორც არასდროს. ამ სიძლიერეშია ჩვენი, ქართველი ერის გამარჯვების, ბედნიერების, მშვიდობიანი ცხოვრებისა და შემოქმედებითი მგზნებარების თავანკარა სათავე, რომელიც ოქტომბრის რევოლუციით იწყება.

ხარობს, ლაღობს, ზეიმობს ქართულ მიწის ყველა მკვიდრი, ყველა ქართველი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ახალგაზრდა და მოხუცი. ზეიმობს იმას, რომ არასოდეს ისე დარწმუნებული არ ყოფილა საქართველო თავისი მომავლით, როგორც დღეს არის, არასოდეს ისე ბედნიერად არ უცხოვრია ქართველ ხალხს, როგორც დღეს, არასოდეს ისე გულდინჯად არ ყოფილა ქართველი კაცი თავისი ოჯახის, თავისი კერის, თავისი ენის, მრეწველობის, მეცნიერების, ხელოვნების, სახალხო მეურნეობის აღმავლობით გახარებული და გალაღებული, როგორადაც დღეს.

გაზეთის დღევანდელ ნომერში ვაქვეყნებთ ქართული მეცნიერების სასიქადულო მოღვაწის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, აკადემიკოს ევგენი ხარაძის მოცულობით მცირე, მაგრამ ბევრის მთქმელ წერილს, რომლიდანაც ნათლად ჩანს ჩვენი მეცნიერებისა და კულტურის არნახული აღმავლობის საფუძვლები. ქართველი მუშა, გლეხი, მოსწავლე ბედნიერია თავისი შრომითი შემართებით, აწმყოს სისპეტაკით და მომავლის სინათლით. ბედნიერია, ლაღი და ზვიადი, რომ ვერასოდეს, ვერავინ ვერ აღუდგება წინ სამშობლოს დიდების გზაზე შრომითი შემართების სრულქმნაში, დოვლათის მოზღვავებაში, სწავლის ამაღლებაში.

დიდება სამშობლოს, საბჭოეთის ძმურ ოჯახში ჭეშმარიტად ბედნიერ ქართველ ხალხს, მის სახელოვან აწმყოსა და დიად მომავალს!





რედაქტორის სვეტი

თანამემამულენო!

ჩვენი გაზეთის ამა წლის პირველ ნომერში, რასაც წინათქმად უძღვოდა სულმნათი შოთას სიტყვები — „ვინ მოყვარესა არ ეძებს, ივი თავისა მტერია“, მერვე გვერდზე, როგორც ამ წინათქმის გაგრძელება, დავბეჭდეთ წერილი — „არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული“. დიახ, არაფერი და არავინ არ ყოფილა, არ არის და არც იქნება ისეთი დიდი მოყვარე, როგორიც ყველა დროისა და ჟამის ქართველისათვის იყო, არის და იქნება მშობლიური ენა, წინაპართა — პაპათა, მამათა ენა, ერის მიერ საუკუნეთა ჭირ-ვარამში შემონახული, ათას ჟამიანობაში გადარჩენილი, დღეს სათუთად მოვლილი, ნაპატიები, დახვეწილი და საბჭოთა საქართველოში დედობამდე აღსავებული. ქვეყნად არ უნდა იყოს არც ერთი ქართველი, — მამით იქნება თუ დედით, ან ორივეთი ერთად, — რომელსაც არ ეცოდინება თავისი მშობლიური ქართული, რამეთუ უქართულობა უმამობას, უდედობას, უსაფუძვლობას უდრის, მშობლიური მიწისაგან მოწყვეტისა და ამ მიწისაგან გაყრის საწინდარია. მიწისაგან, სამშობლოსაგან გაყრას კი მოსდევს ის, რაიც არც ერთ თანამემამულეს არ გაახარებს.

იმ წერილში ვწერდით: „ერთ ქართველ ჟურნალისტს უცხოეთში შეხვდა ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულე... ამ შეხვედრამ დიდად გაახარა ორივე. პირველი მაშინვე — ქართულად გამოელაპარაკა თანამემამულეს, რომელმაც მხრები აიწურა და ოდნავ წამოწითლებულმა უხერხულად გაუღიმა შემკითხველს, თან უცხოურ კილოზე ჩაილაპარაკა: „აჩუ, აჩუ, ცხენო, საით გაგაჭენო“... მერე კი მორიდებით განმარტა რუსულად:

— მამა არ მახსოვს, მისგან მხოლოდ ეს სიტყვები და გვარი დამრჩა სახსოვრად... და კიდევ იმის შეგნება, რომ ვარ ქართველი! თვალი დაეწვა ჟურნალისტსაც და ახლად გაცნობილ თანამემამულესაც“...

დიახ, როცა დედაენის გაკვეთილებს ვიწყებდით, ჩვენი სურვილი იყო, რომ უცხოეთში მცხოვრებ არცერთ ჩვენს თანამემამულეს აღარ დასწვოდეს არცა თვალი, არცა გული, რომ არც ერთ თქვენგანს არ დაჰვიწყებოდეს დედაენა, ქართული წერა-კითხვა და ტკბილსაუბარი, რომ ქართველი მამისა და ფრანგი, იტალიელი, თურქი თუ სპარსი ქალის შვილი გვარისა და სახელის გარდა ქართულსაც ჰფლობდეს, როგორც მამულიშვილობის უპირველეს სამსხვილს, გვინდოდა და გვინდა, რომ ქართული ენის სატახტო ქალაქიდან, თბილისიდან ნოწყვეტილი ყველა ქართველის მონაგარი სამშობლოსთან სისხლხორცეულად იყოს დაკავშირებული თუნდაც მშობლიური ქართულით, რომელიც ჩვენთან ქართული მიწა-წყლის და ქართველი კაცის დედაც არის და მამა-პატრონიც!

ამასწინანდელ ნომერში აღვწერე თანამედროვე მსოფლიო ჭორეოგრაფიის დიდოსტატთან — სასიქადულო ქართველი კომპოზიტორის მელიტონ ბალანჩივაძის შვილთან და საბჭოთა საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარის ანდრია ბალანჩივაძის ერთადერთ ძმასთან, — გიორგი ბალანჩინად წოდებულ ბალანჩივაძესთან შეხვედრის ამბავი. მკითხველს ვამახსოვრება ამ დიდი ხელოვნის მიერ თავისი ეროვნულობის განმარტება... ცეკვის ჭეშმარიტ დიდოსტატს, — სახელოვანი ქართველის შვილსა და ქართულ მიწაზე პატივისცემით აღიარებული მამულიშვილის ძმას, — ნამდვილად მოერიდა ქართულის უცოდინრობა, ეუხერხულა მშობლიური ენის დაკარგვა და თავი იმითღა ინუგეშა, რომ დაგვაიმედა — ახლო მომავალში ვისწავლიო მშობლიურ ქართულს.

არ ვიცი, ახსოვს კიდევ გიორგი ბალანჩინს თავისი დანაპირები, შეასრულებს თუ არა მოცემულ სიტყვას, მაგრამ ის კი ვიცი, და მაშინაც ვიცოდი, როცა „სამშობლო“ დედაენის გაკვეთილებს იწყებდა თავის ფურცლებზე, რომ ქართველი კაცი უქართულოდ ის ფრთამოტეხილი არსებაა, რომელიც ჩვენი გაზეთის ტიტულზე მოქცეული მერცხლის დარად ვერასოდეს მოუბრუნდება ქართულ მზეს, ქართულ მიწა-წყალს. შეიძლება ვინმემ სიტყვა შემაბრუნოს — ბალანჩინმა თუ ქართული არ იცის, სახელოვანი ვერ არისო?! ქართული ნიჭის მადლი ყველგან გაიკვლევს გზას, მაგრამ უქართულობა ყოველთვის დადაღავს ქართველ კაცს. არა მგონია, დედამიწაზე აღმოჩნდეს თუნდ ერთი კუთხე, ხალხი და ქვეყანა, გარდა საქართველოსი და ქართველებისა, რომელიც თავის თაობათათვის გადასაცემ ისტორიაში შეიტანს იგივე გიორგი ბალანჩინის სახელს. დავიწყება ყველას ძალუძს, გარდა სამშობლოსი, რომელიც საუკუნოდ იმახსოვრებს ავსაც და კარგსაც.

ქართული ენის მოვლა-პატრონობა, მისი შენახვა, თაობათათვის მისი გადაცემა ქართველობის უპირველესი ნიშანია, და ამ ნიშანს, დედაენას, სამშობლოში მცხოვრები მარტო ქართველები კი არა, ჩვენს რესპუბლიკაში მყოფი ყველა ერის წარმომადგენელი უფრთხილდება, უვლის, სწავლობს და პატივს სცემს. ამაშია ჩვენი ეროვნული ძალა — ვსწავლობთ, პატივს ვცემთ სხვა ენებს და ამასვე ვითხოვთ ჩვენი ენისადმი ყველასაგან, ვინც ჩვენს მიწა-წყალს უკავშირებს თავის ყოფასა და ცხოვრებას — სიკეთე სიკეთის წილ, ძმობა ძმობის წილ.

უნდა გენახათ, როგორ ხარობდნენ გაზეთის თაოსნობით ჩვენი მწერლები, მეცნიერები, ქართველი ადამიანები, გვიქებდნენ წამოწყებას, გვირეკავდნენ, ლაპარაკობდნენ საჯაროდ და შინ, დღევანდელი ნომრის მერვე გვერდზე თავიანთ ნაფიქრალს უზიარებენ ჩვენი გაზეთის მკითხველს, ე. ი. თქვენ, სახელოვანი მწერალი ლევან გოთუა, ქართველი ენათმეცნიერების ლვაწლმოსილი მოამაგე შოთა ძიძიგური, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბორის კანდელაკი, ოთხმოც წელს მიღწეული, ჩვენი საბავშვო პოეზიის ამაგდარი, მხცოვანი პოეტი მარიჯანი, რომელმაც ანბანის დამთავრებისთანავე თვითონ დარეკა რედაქციაში და მომავალი გეგმების ამბით დაინტერესდა: — სავარჯიშოებიც მიაწოდეთ, ბალღები შუა გზაზე არ მიატოვოთ, თორემ თქვენი მადლიანი წამოწყება ფასს დაჰკარგავსო.

— ეჰ, — ვუთხარი ოდნავ გულდაწყვეტილმა, — თქვენ გვირეკავთ, გვეუბნებით, ისინი კი, ვისი შვილებისა, შვილიშვილებისა და შვილთაშვილებისათვის ეს საქმე წამოვიწყეთ, ხმას არ გვაწვდიან, არას იწერებიან.

მართლაც. გამოგვეხმაურეთ, თანამემამულენო! ჩვენი გაზეთის პატარა კოლექტივი, ჩვენი საზოგადოება, რომელსაც ეს გაზეთი ეკუთვნის, სიყვარულით ამზადებს ყოველ წერილს, გაზეთის ყოველ გვერდს, საქართველოში არ არის არცერთი ქართველი თუ არაქართველი, ვინც ერთხელ მაინც დაგვზარებოდეს მასალის მოწოდებაში, ვინც მამულიშვილურ პატივად არ თვლიდეს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ნახელავის დაბეჭდვას. ჩვენი გაზეთი თქვენთვის გამოდის, თქვენ კი დუმხართ, არ გვეხმიანებით. და მით უფრო დასანანია ეს დუმილი, რომ რედაქციის ნიჭიერმა კოლექტივმა, სასიქადულო აქტივმა ჩვენი მწერლების, მეცნიერების, საზოგადო მოღვაწეთა სახით, რომელთა ერთად-ერთი მიზანია გაგახსენონ, გაგაცნონ ჩვენი სამშობლოს წარსული, აწმყო და მომავალი, დაგაახლოვონ სამშობლოს, ადამიანებს, ქართველ ხალხს, რომელიც დიდი ენერგიით, შრომითი გატაცებით ჰქმნის საბჭოთა საქართველოს ბედნიერ აწმყოსა და წარმტაც მომავალს, თქვენი აზრი ვერ გაიგონა თვით დედაენის გაკვეთილებზეც. დიახ, ჩვენი ერი, საქართველო არასოდეს ისეთი განსწავლული, ისეთი მდიდარი, ისეთი მხნე, დარწმუნებული თავის ძალებში და ბედნიერი არა ყოფილა, როგორადაც დღეს არის დიადი ძმობის ორმოცდაათი წლისთავისათვის.

ჩვენო თანამემამულენო! გაზეთის რედაქციის სახელით, ჩვენი თანამშრომლებისა და აქტივის სახელით მოგმართავთ თქვენ, ვისთვისაც ეს გაზეთი გამოდის, გამოხმაუროთ გაზეთს, მოგვწეროთ თქვენი აზრები, ფიქრები და სურვილები, რომლებიც ჩვენ შეგვეძლება განვახორციელოთ სამშობლოსთან თქვენი დაახლოვების მიზნით, გავაკეთოთ ყველაფერი, რაც ხელს შეუწყობს თქვენი შთამომავლობის მიერ შშობლიური ენის შესწავლასა და არდავიწყებას, უცხოეთში მცხოვრებ ქართველების დაახლოვებას საქართველოსთან, ქართველ ხალხთან.

ამასწინანდელ ნომერში გამოვაცხადეთ გაზეთზე ხელმოწერა და ის მისამართებიც, სადაც თქვენ შეგიძლიათ გამოიწეროთ გაზეთი. თუ რამ დაბრკოლებას წააწყდეთ, მოგვმართეთ უშუალოდ ჩვენ, გამომცემელ საზოგადოებას, რომელთა მისამართებიც ყოველ ჩვენს ნომერში ქვეყნდება. გამოიწერეთ, წაიკითხეთ, გამოგვეხმაურეთ, გამოთქვით სურვილები, რაღეთუ გაკეთდეს ყოველივე იმისათვის, რომ არ გაწყდეს თქვენი კავშირი სამშობლოსთან, ყველა ქართველის სანუკვარ საქართველოსთან.



ზეიმი ჩვენს მიწაზე



ფოტორეპორტაჟი ედუარდ გიგილაშვილისა

„შოთაობა“ იყალთოში

ადრე „ამაღლების“ დღესასწაულობდნენ იყალთოელები. მაშინაც შოთას სახელით სუნთქავდა აქაურობა. ლეგენდების გადმოცემითა და იყალთოელთა ღრმა რწმენით აქ უსწავლია უკვდავი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს.

ამ ათიოდე წლის წინათ იყალთოელებმა აკადემიის ნაფუძარზე სახალხო უნივერსიტეტი გახსნეს, რექტორად ღვინის ქარხნის ინჟინერ-ტექნოლოგი გიორგი შათირიშვილი აირჩიეს და, თუმცა აკადემიის მიდამოს იერი ძველებური შერჩა, ამ დღიდან აქ სხვაგვარი ცხოვრება დამკვიდრდა.

სახალხო უნივერსიტეტში გაიხსნა ლიტერატურისა და ხელოვნების, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფაკულტეტები, აქ თვეში ოთხჯერ მართება მეცადინეობა, სასწავლო საათების რიცხვი კი წელიწადში 130-ს აღემატება.

უნივერსიტეტის მსმენელები ლექციებს ისმენენ ისტორიაში, ფილოსოფიაში, ეკონომიკაში, საერთაშორისო პრობლემებზე, ბოტანიკასა და ფიზიოლოგიაში, მემცენარეობასა და მეცხოველეობაში, მებაღეობასა და მევენახეობაში.

ლექციებს საქართველოს თვალსაჩინო მეცნიერები კითხულობენ: გიორგი წერეთელი და რაფიელ დვალი, ევგენი ხარაძე და სერგო დურმიშიძე, ალექსანდრე ბარამიძე და შოთა ძიძიგური. აქ ბევრჯერ გამოსულან კონსტანტინე გამსახურდია და ირაკლი აბაშიძე, ლადო გუდიაშვილი და რევაზ ლაღიძე. სახალხო უნივერსიტეტის მეცადინეობები ბევრჯერ მოსწონებიათ საქართველოს სტუმრებს — ფრანგ, ინგლისელ, იუგოსლაველ, პოლონელ მეცნიერებს.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის მოამაგენი იყვნენ სახელოვანი მამულიშვილი, დიდი მეცნიერი შალვა ნუცუბიძე და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი შოთა მესხია.

იყალთოს სახალხო უნივერსიტეტი უკვე ასეულობით ადამიანმა დაამთავრა და მიიღეს სპეციალური დიპლომები. ამჟამად უნივერსიტეტში 200-ზე მეტი მსმენელია, მაგრამ ხშირად, როდესაც მეცადინეობა აკადემიის ნაფუძარზე, ღია ცის ქვეშ იმართება, ლექციებს 500-600 კაცი ესწრება. საიდან აღარ მოდიან მაშინ: თელავიდან და ვარდისუბნიდან, ზემო ხოდაშნიდან და გურჯაანიდან, წინანდლიდან და აკურიდან. მოდიან სხვადასხვა სპეციალობისა და ასაკის ადამიანები.

სახალხო უნივერსიტეტის ცხოვრებისა და საქმიანობის ყოველწლიური გვირგვინია „შოთაობა“, რომელიც „ამაღლების“ ნაცვლად დააწესეს იყალთოელებმა. წელიწადს, 29 ოქტომბერს მეათედ შეიკრიბნენ აკადემიის ნაფუძარზე მასპინძლები და სასურველი სტუმრები თბილისიდან, თელავიდან, მეზობელი რაიონებიდან.

როგორც ყოველთვის, იყალთოელთა ამ ტრადიციულ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის გამოჩენილმა ადამიანებმა. სტუმართა შორის იყვნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ილია ვეკუა, რესპუბლიკის კულტურის მინისტრი ოთარ თაქთაქიშვილი, აკადემიკოსები სიმონ ყაუხჩიშვილი, ნიკო კეცხოველი, სერგო დურმიშიძე, პროფესორები დიმიტრი ჯანელიძე, მარიკა ლორთქიფანიძე, სერგო ჯორბენაძე, ივანე სარიშვილი, საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი უჩა ჯაფარიძე, მწერალი ლევან გოთუა, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი, ცნობილი მსახიობები, სპორტსმენები.

„შოთაობისადმი“ მიძღვნილი საზეიმო შეკრება გახსნა იყალთოს სახალხო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შათირიშვილმა, ზეპირ ჟურნალში „შინდა ყველაფერი ვიცოდე“ მონაწილეობა მიიღო აკადემიკოსმა სიმონ ყაუხჩიშვილმა, რომელმაც წაიკითხა მოხსენება იყალთოს აკადემიის ისტორიის შესახებ. აკადემიკოსმა ნიკო კეცხოველმა ისაუბრა ბუნების დაცვისა და ტყის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების საქმეზე. ზეიმის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორმა სერგო ჯორბენაძემ, მწერალმა ლევან გოთუამ, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ტარიელ საყვარელიძემ, ჩოგბურთში ევროპისა და საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონმა ალექსანდრე მეტრეველმა. საკუთარი ლექსები წაიკითხეს ახალგაზრდა პოეტებმა და სახალხო მთქმელებმა.

შემდეგ გაიმართა სპორტული ასპარეზობანი, დაბინდებისას კი „შოთაობამ“ იყალთოელთა ოჯახებში გადაინაცვლა — ზეიმობდა მთელი სოფელი.



სურათზე: „შოთაობა“ იყალთოს აკადემიის ნაფუძარზე.

ჩემი სამაღლობელი

სამშობლო ომმა ის-ის იყო გადაიარა. ისტორიისათვის გაუგონარ კატასტროფულ და დამღუპველ ომს მშვიდობიც შეეწირა. ოთხი ობოლი დავრჩით დედის ანაბარა. თოთხმეტი წლის ბიჭი ვიყავი, როცა ჩემი ცხოვრების გზის ძებნამ და ოჯახისათვის დახმარების სურვილმა ვეჯინიდან თბილისში ჩამომიყვანა. ექვს თვეში მეექვსე სახელოსნო სასწავლებელი დავამთავრე და თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში დავიწყე მუშაობა ხარატად.

ახალბედა ხარატს გვერდში ამომიდგა გამორჩეული ოსტატი და გულისხმიერი ადამიანი სულიკო სულხანიშვილი. მეხმარებოდა ხელობის სრულყოფაში. ჯერ მოზარდი ვიყავი, ჩემს გზაზე ათასი მაცთუნებელი ბილიკი მისმობდა, მაგრამ სულიკო სულხანიშვილმა არსაით გადაამტვრევინა. შემაყვარა საქმე და ქარხანა, სადაც თითქმის 25 წელიწადია ვმუშაობ.

ქარხანა ჩემი მეორე ოჯახი გახდა. ყოველ დილით მომიხარია აქეთ. შემოვაბიჯებ ქარხნის ეზოში და დამხვდებიან მეგობრები. 3 ათასი ადამიანიდან თითოეული ერთიმეორეზე ვფიქრობთ, ყველანი ერთად კი ქარხანაზე, მის სახელზე.

შინ დაბრუნებული თავს ბედნიერად ვგრძნობ მეუღლესთან და ჩემს ბიჭებში — დავითთან და ტარიელთან, რა პროფესიებს აირჩევენ მომავალში არ ვიცი, მაგრამ ქმაყოფილი ვიქნები, თუ ერთ-ერთი მაინც გაჰყვება ჩემს გზას. ჩვენს დიდ ქარხანას ყოველთვის დასჭირდება თაობები, რომლებიც შეცვლიან მამა-პაპათ და რომლებსაც უფრო დიდი საქმეები მოელით. მოსწავლეებსაც სწორედ ამ სულისკვეთებით ვზრდი. მახსოვს ჩემი ოსტატის სულიკო სულხანიშვილის სიკეთე. მეც ვცდილობ მომავალ თაობებს შევაყვარო საქმე, რომლითაც უნდა მოიმკონ პური არსობისა. რითაც უნდა მოისვენჯონ სახელი.

იმ დღიდან რაც „ავრორამ“ მსოფლიოს ახალი ქვეყნის დაბადება ამცნო და ქვეყანას მუშურ-გლეხური ეწოდა, მშრომელი ადამიანი დაფასდა, ჩვენს მარჯვენას ბარაქა მიეცა. მეამაყება, რომ ჩვენი ქვეყნის მუშათა მილიონიანი არმიის წარმომადგენელი ვარ. ლენინის ორდენით დამაჯილდოვეს და ჩემი ნახელავი სპეციალური დაზგები საზღვარგარეთის ათობით ქვეყანაში იგზავნება.

ეს არის ჩემი სამადლობელი მშობლიური ქვეყნისა და ქარხნის წინაშე.

ზურაბ გველუკაშვილი,

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატი, ლენინის ორდენოსანი.



სურათზე: უფროსი და უმცროსი სეხნიები. ოსტატი და მასწავლებელი ზურაბ გველუკაშვილი (მარჯვნივ), შეგირდი ზურაბ ჯაფარიძე.

ჭიათურის რაიონის სოფელ სვერიდან ჩამოვიდა ზურაბ ჯაფარიძე, წლეულს ზაფხულს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში აბარებდა, მაგრამ არ გაუმართლდა. მარცხმა არ შეაშინა ჭაბუკი. შეაბიჯა კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში და ეხლა ხარატობას სწავლობს. ალღოიანი ჭაბუკია, კარგი ხარატი დადგებაო, — ამბობს მისი ოსტატი ზურაბ გველუკაშვილი.

ოღონდაც, ის ურჩევნია მამულსა...

რამდენიმე სიტყვა

დღეს ქართული მეცნიერება მრავალდარგოვანი მეცნიერებაა და იგი ფართოდ მიაბიჯებს წინ, წარმატებით იკვლევს რა ჩვენი რესპუბლიკის ბუნებრივ რესურსებს, ჩვენი ერის ენისა და მწერლობის განვითარების, ისტორიის, სხვა ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს და მონაწილეობს მსოფლიო მეცნიერების სხვა მრავალი პრობლემის შესწავლაში.

მარტო საქართველოს მეცნიერებათა აკადემია ორმოცზე მეტ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებას მოიცავს, რომლებიც 4000-ზე მეტ მეცნიერ მუშაკს აერთიანებს. მათ შორის არიან აკადემიის 103 ნამდვილი წევრი და წევრ-კორესპონდენტი, 220-მდე დოქტორი და 1370 მეცნიერებათა კანდიდატი.

ქართული საზოგადოება წინათაც არ ყოფილა მოკლებული მეცნიერულ ტრადიციებს, მაგრამ ეს ტრადიციები ყალიბდებოდა უმთავრესად ფილოლოგიური და ისტორიული პრობლემების კვლევის პროცესში. ეპოქამ კი მოითხოვა სრულიად ახალი რამ: თანამედროვე, უახლესი საბუნებისმეტყველო და ტექნიკური დარგების განვითარება. ამ მოთხოვნას ქართულმა მეცნიერებამ ჯეროვნად უპასუხა: შეიქმნა და ნაყოფიერად ვითარდება მისი ახალი დარგები.

მათემატიკის განვითარებას, რომელიც გამოიხატა ფართოდ აღიარებული მუსხელიშვილისეული მათემატიკური სკოლის ჩამოყალიბებაში, მოყვა ფიზიკისა და გეოფიზიკის გაძლიერება, ხოლო ამ უკანასკნელს კი კვლავ სრულიად ახალ დარგში — კიბერნეტიკაში, რომელიც ჩვენ რესპუბლიკაში ჯაბედულად ვითარდება და რასაც ხელს უწყობს მისთვის მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, ახალი შენობების აგება, კადრების მომზადების ფართო გეგმით განხორციელება და სხვა.

გამოთვლითი მათემატიკის გამოყენება ახალ ძალას მატებს ეკონომიურ მეცნიერებას, მის მონაწილეობას საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების დაგეგმვაში.

ფართოდ არის ცნობილი ქართველი გეოლოგების, ქიმიკოსების, ბიოლოგების ნაშრომები და მოღვაწეობა. ჰუმანიტარულ დისციპლინათა განვითარებაში თავისი წვლილი შეაქვთ ქართველ ენათმეცნიერებს, ლიტერატურათმცოდნეებს, ფილოსოფოსებს, ფსიქოლოგებს, სამართლისმცოდნეებსა და ისტორიკოსებს.

საგულისხმოა, რომ ქართული მეცნიერების ახალი ტექნიკური დარგების ინსტიტუტები: მეტალურგიისა, სამთო მექანიკისა, მანქანათა მექანიკისა, მართვის სისტემებისა, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობისა, წარმატებით მუშაობენ რა ზოგად პრობლემებზე, ამავე დროს ითვალისწინებენ იმას, რომ საქართველო მთიანი ქვეყანაა, მდიდარი როგორც მიწის წიაღში, ისე ზედაპირზე; თავისებურად უნდა გადაწყდეს მისთვის და სრულყოფდებოდეს წიაღის დამუშავების მექანიზმების სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სატრანსპორტო საშუალებათა კონსტრუქციები.

იმედია, მკითხველი მომიტევებს ჩემ პროფესიულ მიკერძოებას და ორ სიტყვას მათქმევინებს იმ დარგზედაც, რომელსაც მე ვემსახურები: ასტრონომიაზე. ასტრონომია ძველი მეცნიერებაა, ცნობილი როგორც მისი უტილიტარული მნიშვნელობით, ისე კავშირით ადამიანის მსოფლმხედველობასთან. მისი განვითარება ყოველთვის იყო დამოკიდებული საზოგადოების საერთო განვითარების დონეზე. კარგად ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის დროს ასტრონომიული ცოდნა საქართველოში ფართოდ ვრცელდებოდა. თვით დავითიც ღამეებს ათევდა ციური მნათობებისა და მოვლენების დამზერაში. დღეს ჩვენი მკვლევარები იკვლევენ X, XI საუკუნეების კოსმოგრაფიულ თხზულებებს, რომლებიც მდიდრულად ილუსტრირებული ხელნაწერების სახით კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ინახება როგორც ძვირფასი განძეული. მაგრამ ჩვენი ისტორიული ბედის ნებით მოხდა ისე, რომ მიმდინარე საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე სრულიად არ წარმოებდა რაიმე კვლევა ასტრონომიაში ისევე, როგორც ბევრ სხვა დარგში.

ამჟამად კი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა შორის მუშაობს ასტროფიზიკური ობსერვატორია, ყანობილის მთაზე, აბასთუმნის მახლობლად. იქ, და აგრეთვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასტრონომიის კათედრაზე მიმდინარეობს ასტრონომიის თანამედროვე პრობლემების შესწავლა, ქართველ ასტრონომთა კვლევის საგნებია მზე და მთვარე, ცთომილები, ვარსკვლავეთი და გალაქტიკათა სამყარო.

ევგენი ხარაძე,

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი.

ქართველი ქალის ზეიმი

8 ნოემბერს საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლმა შეხვედრა მოუწყო მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს.

დარბაზი ხალხს ვერ იტევდა. აქ თავი მოეყარათ მოჭადრაკეებს, ჭადრაკის მოყვარულთ თუ გულშემატკივრებს, მეცნიერებს, ხელოვნების მუშაკებს, მსახიობებს, ნონას თაყვანისმცემლებს. ისინი მოვიდნენ, რათა გულწრფელად გამოეხატათ მადლობისა და სიხარულის ის გრძნობა, რაც ნონამ მათ თავისი გამარჯვებებით განაცდევინა...

აი ეკრანზე გამოჩნდა ნონა, მისი პირველი ნაბიჯები ჭადრაკში და პირველი შერკინება 1962 წელს მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ელისაბედ ბიკოვასთან, როცა პირველად შეამკეს დაფნის გვირგვინით.

— ეს გამარჯვება, — თქვა ჭადრაკის ცნობილმა მიმომხილველმა თენგიზ გიორგაძემ, — აღსანიშნავია იმითაც, რომ ლეგენდარული ვერა მენჩიკის მსგავსად, ნონაც 21 წლისა გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა „რუსთავმა“ — გამარჯვების „მრავალჟამიერი“ და „კუჩხა ბედინერა“ უმღერა ოთხგზის ჩემპიონს. მხცოვანმა პოეტმა მარიჯანმა შესანიშნავი ლექსი უძღვნა ნონას. მსახიობები და მომღერლები ერთმანეთს ენაცვლებიან. მღერიან ლილი გეგელია, ჩიტოლია ჩხეიძე, ინოლა გურგულია და გიული დარახველიძე, უკრავს ნანა გვასალია, სცენა კომედიიდან „ოქრო კაცი ბეწვის ხიდზე“ წარმოადგინეს მსახიობებმა მედეა ჯაფარიძემ, მარინე თბილელმა, იაკობ ტრიპოლსკიმ და მერაბ თაბუკაშვილმა.

სიტყვას ამბობს აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი: — დღევანდელი დღე ზეიმია ქართველი ხალხისა, ქართველი ქალისა, საუკუნეების მანძილზე რომ ამშვენებდა ჩვენს ისტორიას, ჩვენს კულტურას. ეს ზეიმი ქართველი ქალის ზეიმია ნონას სახით...

გვირგვინოსანს მიესალმება დიდი მეცნიერი ავლიან ზურაბაშვილი: — ძვირფასო ნონა! საქართველოს დაუვიწყარი მოამაგე ილია ჭავჭავაძე ქართველ ერს რუსთაველის ერს უწოდებს, რაც ნიშნავს: პატრიოტული თვისებებით და მამულიშვილური გრძნობით აღვსილი სპეტაკი პიროვნებების ერს. ქართველმა ხალხმა ყოველთვის იცის და ეცოდინება სულმნათი შოთა რუსთაველის დებულება — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“. და აი, ეს თანასწორობა ქალთა და ვაჟთა შორის, დედაკაცთა და მამაკაცთა, მანდილოსანთა და ჭუდოსანთა შორის უოველთვის ერთ დონეზე იყო საქართველოში. ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი იაკობ გოგებაშვილი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ისტორიულად, ტრადიციულად მამაკაცთა ძალას უოველთვის ერთვოდა ქალთა ძალა, რითაც ეროვნული პოტენციალის დონე უოველთვის ძლიერდებოდა. თქვენ, შვილო ნონა, ბრწყინვალედ ასრულებთ დიდი შოთას აზრს, გრძნობას, სურვილსა და მოწოდებას. თქვენ ახალგაზრდა მსოფლიოში ჩვენი ერი, საქართველოს სახელი გაუთქვით და დაუმტკიცეთ, რომ ქართველი მანდილოსანი ბრძოლაში უოველთვის შეუპოვარია, დაუმარცხებელი, მშვიდი და წონასწორი. რა გისურვო, შვილო ნონა? თამარ მეფე მეფობდა 30 წელიწადს, მე გისურვებთ სამჯერ 30 წელი გემეფოთ გამარჯვებებით! თქვენს ვაჟს, პატარა დათოს კიდევ ორი ძმა და სამი და შემატებოდეს!

დასასრულ მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონმა ჭადრაკში ნონა გაფრინდაშვილმა დიდი მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ნადია მეგალიშვილი

ჩვენი ბედნიერების სათავე

ამ სოფელში დავიბადე და გავიზარდე.

სოფელს ბობოყვეთი ჰქვია, ქოპწია სოფელია, მდიდარი. აქაურობას ზღვისპირა მადლიანი ჰავა ახალისებს. ისეთი მიწაა, რომ იტყვიან: ხელუკუღმა დათესილიც ერთი ათასად მოზღავდებაო... და მოზღავებულია სოფლის გარშემო ფერდობებზე ჩაის მწვანე ბუჩქები. ბობოყვეთელები მშრომელები არიან და სოფლის სიკეთეც აქედან მოდის: მიწა ნოყიერი, ჰავა ზომიერი, დიდი თუ პატარა მშრომელი. ხარობს სოფელი, დღითი-დღე სიმდიდრით ივსება.

ვიცი: მთელი ჩემი სიცოცხლე, სადაც არ უნდა ვიყო, როგორც არ უნდა ვიყო, ლამაზად დამამახსოვრდება ჩემი სოფელი, ჩაის მწვანე ბუჩქებით ორპირა სარტყელებად შემოვლებული, დამამახსოვრდება სექტემბრის ის პირმშვენიერი დილა, როცა პირველად შევაღე სკოლის კარი. ის ხალისი, როდესაც პირველად ავიღე ხელში ჩაის საკრეფი კალათა და უფროსებს ამოვუდექი მხარში, ის ქმაყოფილება, როცა ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლე უფროს მეჩაიეებს არ ვუდებდი ტოლს.

მე ვუერთგულე ჩაის და მანაც დაიბერტყა ჩემთვის მადლიანი კალთა — სოციალისტური შრომის გმირის წოდება მომანიჭეს. მერე თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტიც გავხდი.

როგორ არ უნდა ვცემდე პატივს იმ დღეს, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი სოფლის დღევანდელი ქეთილდღეობა. ჩვენი ძალა კი იმაშია, რომ ამგვარი სოფლები და ქალაქები მრავალია, აი იმდენი, როგორც ზღაპარში იტყვიან: ზღვის ქვიშაზე და ცის ვარსკვლავებზე უმრავლესიო.

ჩვენი ქვეყნის ბედნიერების სათავე 1917 წლის ოქტომბრიდან იწყება, რომლის 55 წლისთავსაც წელს ვზეიმობთ.

ამ დიდი დღესასწაულისათვის მშრომელები ჯეტაკს აბარებენ სამშობლოს იმის შესახებ, თუ რა მოიმკეს და რა შექმნეს. ამ დროისათვის მეჩაიეებმაც უპატაკეს სამშობლოს: გეგმური 270 ათასი ტონა ჩაის ნაცვლად მოკრეფილია 276 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი, რომელთაგან 74 პროცენტი პირველი ხარისხისაა.


ბედნიერი ვარ, რომ ამ უზარმაზარ საქმეში მეც მიმიძღვის წვლილი და ხარისხოვანი ჩაის ათასეულ ტონებში ჩემი შოკრეფილი ათასეული კილოგრამებიც ჩაითვალა.




ქეთევან გოგიტიძე,

ჭობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვეთის კოლმეურნეობის მეჩაიე, სოციალისტური შრომის გმირი.

წყალტუბოდან ქუთა



მეექვსე წყაროს შესასვლელს ვეფხი და მოყმე ამშვენებს...



ეს კი იმავე წყაროს შიდა ხედია



მეშახტეებისათვის საგანგებოდ აგებული სანატორიუმი



საქართველოში უყვართ ძველი ივერია, ამიტომაც კეთილად ნაგებ ბევრ შენობას ივერიას არქმევენ

გაზნეული ნახირის ძებნით ქანცგაწყვეტილი მწყემსი ქვაზე ჩამოჯდა და დაღლილი ფეხები მიწის გულიდან ამოხეთქილ თბილ წყალში ჩაუშვა. სიამე იგრძნო სხეულმა, ქარისაგან დაძალულმა სახსრებმაც იყუჩეს, მოხდა საოცრება — მუხლებში გამჯდარი სატკივარი, მწყემსს წლების მანძილზე რომ უღრღნიდა სულსა და გულს, თვალსა და ხელშუა გაუქრა. საღსალამათი კაცი მხნედ გაუყვა გზას.

„სასწაულმოქმედი წყლის" ამბავი მალე მოედო საქართველოს სოფლებსა და ქალაქებს. ხეიბართა ლაშქარი მიწის წიაღისეული თბილი წყლით გასაბანად დაიძრა...

ამოუცნობი სენით დაავადებული ოდიშის დედოფალიც გაუყენეს მწყემსის ნაკვალევს. შინ ისიც განკურნებული დაბრუნდა და გასცა ბრძანება — სასწაულმოქმედ წყაროსთან აეშენებინათ სოფელი და მისთვის სახელად წყალტუბო (რაც „თბილ წყალს" ნიშნავს) დაერქვათ. აი ის ერთ-ერთი ლეგენდა, დღეს საქვეყნოდ ცნობილი კურორტის — წყალტუბოს წარმოშობას რომ გვაუწყებს.

ლეგენდა-ლეგენდად, მაგრამ ის, ვინც წყალტუბოს მართლაცდა სასწაულმოქმედი წყლების წარსულით დაინტერესდება, ჩვენი ერის ისტორიაში ჩაწერილ ბევრ საინტერესო ამბავს ამოიკითხავს.

ანდერძში, რომელიც 1246-1250 წლებშია შედგენილი, გელათის მონასტრის მაშინდელი დეკანი იაკობ აწერელისძე სიამაყით აღნიშნავს, „ხახულის ღვთისმშობლის ხატს" მაღლაკის აბანოს სახლსაც ვწირავო. უფრო მოგვიანებით კი 1647 წლით დათარიღებულ დოკუმენტში, რომელსაც იმერეთის მეფე ალექსანდრე აწერს ხელს, ვკითხულობთ: თავად ეზია იოსელიანს, ბრძოლებში გამოჩენილი მამაცობისათვის, ებოძოს მიწები, რომელშიც წყალტუბო და მისი სამკურნალო აბანოებიც შედიანო.

საუკუნეების მანძილზე წყალტუბო მრავალგზის მოინახულეს და აღწერეს უცხოელმა მოგზაურებმა და მეცნიერებმა. თუ ერთნი აღფრთოვანებული რჩებოდნენ „სასწაულმოქმედი წყლების" სამკურნალო თვისებებით და მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ, ზოგიერთებს ქუთაისის მახლობლად მიწის წიაღიდან ამოხეთქილი თბილი წყლის სიკეთისა მაინცა და მაინც არა სჯეროდათ და წერდნენ, აქ კურორტის გაშენებას აზრი არა აქვსო... მაგრამ უტყუარ ფაქტებს ვინ გაექცეოდა, სრულიად მოუწყობელი, ცის ქვეშ მდებარე აბაზანები, წლიდან წლამდე რევმატიზმით დაავადებულ რამდენიმე ათას კაცს უწევდა მასპინძლობას და უმეტესობას შინ განკურნებულს აბრუნებდა.

თუ რა „ოქროს საბადოები" იყო მათ სამფლობელოში, ყველაზე კარგად გულზვიადმა იოსელიანებმა იცოდნენ: საუკუნის დამდეგს, მეფის მთავრობამ წყალტუბოს მიწების შესყიდვა რომ განიზრახა, საფასურად 7,5 მილიონი მანეთი მოითხოვეს...

წყალტუბოს მეპატრონეებს ფულის მოთხოვნა კი შეეძლოთ, მაგრამ იქ ჩასული ავადმყოფებისათვის რაიმე პირობების შექმნაზე არ ფიქრობდნენ. არც გზა იყო და არც ექიმი, არც სახლი და არც სურსათი... იყო თბილი წყალი და ბედის ანაბარა მიტოვებული, ტალახსა და ჭაობში მიმოფანტული ავადმყოფი ქალები, კაცები, ბავშვები...

ბუნების სიკეთე ადამიანს ეკუთვნისო! თქვა რევოლუციამ და ყოველივე, რაც კარგი და გამოსადეგი იყო, მშრომელთა სამსახურში ჩააყენა. მზრუნველმა ხელმა ნახევარი საუკუნის მანძილზე მსოფლიო სახელის მქონე კურორტად აქცია წყალტუბო. პირველი მერცხალი იმერეთის ამ პატარა სოფელში 1924 წელს შემოფრინდა: აშენდა სამსართულიანი პანსიონატი „გლეხთა სახლი".

ჩვენი დამამშვენებელი...

1925 წელს მწყობრში ჩადგა საკურორტო სამმართველოს სანატორიუმი და მიჰყვა შენება — ყოველ წელიწადს შენდებოდა სანატორიუმები და პანსიონატები, რესტორნები და სასადილოები, გზები და ხიდები. დღეს მნახველის თვალს ახარებს სანატორიუმები „მეშახტე" და „თბილისი", „მეტალურგი" და „რკინიგზელი", „იმერეთი" და „ცისკარი", „გელათი" და „რიონი", „ივერია" და „მეგობრობა".

ჯანმრთელობის დედა ჰაერი, წყალი და ტყეაო, უთქვამთ ძველ ბერძნებს და თუ წყალტუბოს ამ თვალით შევხედავთ, დავინახავთ, რომ ბუნებას მისთვის არც ერთი სიკეთე არ დაუკლია. ზღვის დონიდან 90-157 მეტრზე მდებარე კურორტს მწვანე ხეებით დაფარული მთაგორები აკრავს. წყალტუბოს სულ რაღაც 90 კილომეტრი აშორებს კავკასიონის ულამაზესი მწვერვალების — შხარასა და თეთნულდისაგან. შავი ზღვის სანაპიროც ახლოა, გაივლით 75 კილომეტრს და შეგიძლიათ ზღვის ტალღებში იბანაოთ. მთებისა და ზღვის ესოდენი სიახლოვე კეთილ გავლენას ახდენს კურორტის კლიმატურ პირობებზე — წყალტუბო საბჭოთა კავშირში ერთ-ერთ ყველაზე თბილ კურორტად ითვლება.

კურორტის მთავარი სიმდიდრეა მინერალური წყლები, რომლის რესურსები დღე-ღამეში 20 მილიონ ლიტრს შეადგენს და ორჯერ მეტია საქვეყნოდ ცნობილი კურორტის კარლოვი ვარის სადღეღამისო დებიტზე.

წყლის სიუხვე, რომლის ტემპერატურა 35 გრადუსს აღწევს, საშუალებას იძლევა ერთი აბაზანის დროს გაიხარჯოს 1000-1500 ლიტრი წყალი, რაც ანალოგიურ კურორტებზე დაწესებულ ნორმებს 4-5-ჯერ აღემატება.


კურორტზე მოქმედი 16 სანატორიუმი ყოველწლიურად ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ 100 ათასზე მეტ დამსვენებელს იღებს. ავადმყოფთა მკურნალობის საქმეს 700-მდე მედპერსონალი ემსახურება. 200 მაღალკვალიფიციური ექიმის მუშაობას კი საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წყალტუბოს ფილიალი წარმართავს. წყალტუბოში სამკურნალოდ ჩასულთა 97 პროცენტი შინ გამოჯანმრთელებული ან სრულიად გაჯანსაღებული ბრუნდება.

წყალტუბოს მსოფლიო სახელის მქონე კურორტად ქცევის საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვით ქართველ მეცნიერებს: დიმიტრი ნაზარიშვილს, ნიკოლოზ ანდრიაძეს, თადეოზ მამალაძეს, ვასილ პეტრიაშვილს, პეტრე პეტრიაშვილს, მიხეილ ტყემალაძეს, გიორგი წითლანაძეს. ქართველ მამულიშვილებს გვერდში ედგნენ — სილინ ბეკჩურინი, ივან ვალედინსკი, ლევ ხასკინი და სხვები.

სამკურნალო წყლის სიუხვე კურორტის ზრდის საშუალებას იძლევა. წყალტუბოს განვითარების გენერალური გეგმა, რომლის განხორციელებაც უკვე დაიწყო, ბევრ სიახლეს ითვალისწინებს. ახლო მომავალში ყოველ წელიწადს აქ 150-160 ათასი კაცი იმკურნალებს. წყალტუბოში აშენდება 50 სანატორიუმი და პანსიონატი, 10 სასტუმრო, მრავალი პოლიკლინიკა და სხვა.

ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობას წყალტუბოში სამკურნალოდ ჩასული ადამიანებიც გრძნობენ. რუსები და უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები, ლატვიელები და მოლდაველები დიდი ინტერესით ეცნობიან საქართველოს ღირსშესანიშნაობებს: მოგზაურობენ ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ათვალიერებენ მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმს, სათაფლიას, გელათისა და ბაგრატის ტაძრებს და შინ ჯანმრთელნი ბრუნდებიან.


რევაზ მამალაძე



წყალტუბოში მომსვლელ-წამსვლელს რა გამოლევს

გურამ გერსამიას ფოტოები

ისში მიმავალო ქარო...



ჩემი ქუთაისი

წყალტუბოდან ქუთაისში
მიმავალო ქარო,
თუ მაისის ქუთაისმა
გკითხოს — ვინა ხარო,
უპასუხე, რომ სუნთქვა ხარ,
არ კი უთხრა — ვისი:
ისეც იგრძნობს ქუთაისი,
ჩემი ქუთაისი!

გ ა ლ ა ქ ტ ი ო ნ ი

ქუთაისელთა ძველ მიწაზე

ფარ-ხმალო საქართველოსავ,
სხვაცა გბაძავდეს, ნეტარე
ვაჟა.

მომავალ საუკუნეებს და გასაგები გახდება გენიალური პოეტის სიტყვები, გადაშალე ისტორიის გაცრეცილი ფურცლები, ნახე კედლებდაბეჭდილული და ხავსმოდებული ბაგრატის ტაძარი, რომელიც ჟამთასვლის მიუხედავად, კვლავ ძალუმად სუნთქავს. ყური მიუგდე ფასის მთის ფირალს — მდინარე რიონს, სიპი ლოდების ვიწროებში რომ მოყელყელაობს და შენს წინაშე, მკითხველო, ზვიადად წარმოდგება იმერეთის ლამაზი, მამულისათვის თავდადებულ ქართველ გმირთა შემონახული და აღზავებული ქუთაისი.

ქვიტკირით შედუღაბებულ გალავნებში ციხეთა შორის ბილიკებზე დინჯად დადიოდა მეფე ბაგრატ მესამე — შვილი ქართველთა მეფე გურგენისა, შვილობილი ტაო-კლარჯეთის მფლობელის დავით კურაპალატისა. აქ, ბაგრატიონთა ნაშიერნი, გიორგი პირველი, ბაგრატ მეოთხე, გიორგი მეორე ბრძნული გონებით უძღვებოდნენ სახელმწიფო დარბაზს — საქართველოს სამეფოს უმაღლეს სათათბიროს და მთელ ქართველ ხალხთან ერთად თავდადებული შრომითა და ორლესული მახვილით იცავდნენ საქართველოს ღირსებას. აქ, ქართველი ერის სიამაყე დავით აღმაშენებელი აწყობდა გეგმებს საქართველოს დიდი დედის — თბილისის განსათავისუფლებლად, თბილისში არაბთა საამიროს დასაცემად, დამპყრობთა ბატონობისაგან ქართველი ხალხის დასახსნელად, ქმნიდა სახელმწიფოს ერთიანობისა და ხელისუფლების განმტკიცებისათვის ბრძოლის სარბიელს. და მეფე თამარი... ქართველი ხალხის სიბრძნისა და სათნოების განსახიერება განა გულგრილად აუვლიდა გვერდს ქართველ მოთავეთა ტრადიციულ სამკვიდრებელს? ქუთაისი ადრე ხომ სამეფოს საჭურჭლეც იყო. იდგა ქალაქი ხელოსანთა, უცხო ქვეყნებთან სავაჭრო თუ ეკონომიური ურთიერთობის ცივილიზაცია — თავისი ოსტატებით, მაშვრალით, ამქრებით, აბჯარასხმულ სპათა მიერ ახმაურებული ქუჩებით, ჭარვასლებით, სასახლეებით, ოფლით მკრდგაპობილ გლეხკაცთა მიერ მოწყურთმებული სახლდარბაზებით დამშვენებული.

ვინ იცის, რამდენჯერ გაუვლია აქ ქართული პოეზიისა და სიბრძნის მამას — დიდ შოთას! მოინახულებდა, ალბათ, სათაფლიას, თამარ მეფის საშემოდგომო რეზიდენციას — გეგუთის ციხეს და ცოდნის დიდებულ ნავსაყუდარს — გელათის აკადემიას.

...საუკუნოვანი სისხლის წვიმებით დაღარულ ჩვენს მიწა-წყალზე მოიშალა დამპყრობ-მარბიელთა ლაშქრობის ნატერფალები — სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლას მტკლად დაედო ქართველი ვაჟკაცების სიცოცხლე.

დღეს დაადი ოქტომბრის შუქი დანათის მრავალჭირნახულ, სასიქადულო ისტორიული წარსულის მქონე საქართველოს მიწა-წყალს. ქართველი ხალხი, რომელმაც ააგო მცხეთის ჯვარი და სვეტიცხოველი, ბაგრატის ტაძარი და ვარძია, გამოძერწა სამთავისისა და ნიკორწმინდის ჩუქურთმები, შექმნა „აბდულმესიანი“, „თამარიანი“ და რენესანსის ეპოქის მსოფლიო გვირგვინი „ვეფხისტყაოსანი“, ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა უბანზე.

დროის აჩქარებულ ფერხულში ჩაბმულა ჩემი მშობლიური ქალაქი — ძველი დიდების ცოცხალი მატიანე, რევოლუციური ქარიშხლების ქუთაისი, დღევანდელი ინდუსტრიის მძლავრი სუნთქვა.

გახედეთ ახალმშენებლობათა ხარაჩოებს, ცადაწვდილი ჭარხნის მილების ტყეს, საცხოვრებელ კვარტალებს, ირმის რქებივით დატოტვილ, მოკრიალებულ ქუჩებს, მოედნებს, აფეთქებულ გაზონებსა და სკვერებს. თვალი შეავლეთ ქუთაისური მარკის პროდუქციას — ავტომანქანებს, მცირეგაბარიტიან ტრაქტორებს, ელექტრომავლებს, კონსერვებს, აბრეშუმის, ბამბისა და შალეულის ნაწარმს, ლითოფონის ჭარხნის პროდუქციას და თქვენს წინაშე, მკითხველო, წარმოისახება ახალი ქუთაისი, ქალაქი, რომლის საავტომობილო გიგანტის მარტო ერთი საამქრო ოცჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე მთელი ქუთაისის მრეწველობა იძლეოდა 1913 წელს.


საჯარდო და სამაისო ქალაქი! განა ოდესმე დაავიწყდებათ ჩვენი ქალაქის სტუმრებს ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობა და მასპინძლობა, გულუხვობა და თავაზიანობა.

ოქტომბრის შუქით გალაღებულა ქუთაისი. ჟამთასვლის სასიკეთო ფერისცვალება, რომელიც ქალაქის ყოველ კუთხეში, თანამედროვე ცხოვრების ყველა სფეროში იგრძნობა, სიხარულითა და სიკეთით ავსებს მშრომელი კაცის გულს. ოპერის თეატრი, ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალი, რუსთაველის ხიდი, სტამბა-რედაქციის ახალი შენობა, შესანიშნავი საცურაო აუზი, სკოლები, ბოტანიკური ბაღი თუ სხვა ახალი სამრეწველო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, ახალი ბრწყინვალე ფურცლებით ავსებენ განახლებული ქუთაისის მატიანეს, შარავანდედით მოსავენ მის ხვალინდელ დღეს.

გ ი ვ ი მ ე ფ ი ს ა შ ვ ი ლ ი,
გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორი.



აქ ჭინათ ქალაქი არ იყო...



ქუთაისი თეატრალური ტრადიციების ქალაქია, ამიტომაც ააგეს თეატრის ახალი შენობა.



ქუთათელთა ნახელავი პეტრე ლუციაშვილის ფოტოები

საფრანგეთის ასპოვს



... ობლობაში გაიზარდა. დედის სითბო მამიდამ, ნადია ობოლაძემ აგრძნობინა. თანატოლთა მსგავსად, გოგისაც უყვარდა რიონში ბანაობა, ჯაჭვის ხიდიდან გადახტომა და... ოცნება ბედნიერებაზე... დიდი რომ გავიზრდები, გელათის შესაფერ სასახლეებს ავაშენებო, — იტყოდა ხოლმე გოგი და, ვინ იცის, მერამდენედ მიდიოდა ჩვენი წარსულის ამ დიდებული ძეგლის თვალშესავლებად.

გოგი ტურაბელიძე მშენებელი მაროლაც გახდა. ხარაჩოების ტყე ფარავდა მაშინ სამშობლოს ყოველ კუთხეს. შენდებოდა და მშენდებოდა ქუთაისიც. მშვიდობიან შრომაში გადიოდა დღეები, თვეები, წლები... საბჭოთა ხალხის მაგალითზე მსოფლიო ხედავდა, რა შეეძლო თავისუფალი ადამიანის შრომას. ბედნიერი იყო გოგი, ბედნიერი იყო ნადია მამიდაც, ღირსეულ ძმისწულთან ერთად ღირსეული შვილები — უშანგი, დიმიტრი და ნინო რომ აღზარდა. მაგრამ მსოფლიოს ზეცა ომის ღრუბლებმა დაფარეს. ომი! ამ ერთმა სიტყვამ მილიონობით ადამიანს შეაცვლევინა საქმიანობა, ჯარისკაცის ფარაჯა ჩააცვა. სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგა გოგი ტურაბელიძეც...

* * *

ახალგაზრდა ოფიცერი გოგი ტურაბელიძე 244-ე ქართული მსროლელი დივიზიის შემადგენლობაში ჩარიცხეს. შემოსეულ მტერს ქერჩის ნახევარკუნძულზე აღუდგა წინ.

იწვოდა მიწა, ზღვასაც ცეცხლი მოსდებოდა მტრის რკალში მომწყვდეული ქერჩი გმირულად უმკლავდებოდა მომხდურს... მტერმა უკან დაიხია უმცროსი ლეიტენანტი გოგი ტურაბელიძე თავისი ქვეგანყოფით ფეხდაფეხ მიჰყვა ფაშისტებს. ბელჩართულ ბრძოლაში კაფავდა მტერს, მაგრამ... უცებ თვალთ დაუბნელდა. ტყვია მისწვდა ვაჟკაცს. ჯარისკაცებმა მყის შენიშნეს მეგობრის დაცემა, მაგრამ... გადამთიელმა კვლავ იძალა, ახალი შემოტევის შეჩერება ვერ მოხერხდა, უკანდახევის ბრძანებას დაემორჩილა ყველა...

გრძნობადაკარგული, სისხლისაგან დაცლილი ქართველი ოფიცერი გერმანელებმა აპაკ-ჯანყოის ტყვეთა ბანაკში მოათავსეს ყირიმთან.

„ცოცხალ ადამიანთა სასაკლაოს“ უპირველესი მიზანი ტყვეთა მორალურად გატეხა, მათთვის რწმენის დაკარგვა იყო, ფაშისტები ფიქრობდნენ, ვინც ვერ გაუძლებდა შიმშილს, არაადამიანურ შრომასა და ცემა-ტყეპას, ან მოკვდებოდა, ანდა... მათ სამსახურში ჩადგებოდა. ახალგაზრდა ორგანიზმმა იმძლავრა, მუხლში ძალამომატებულმა გაქცევაზე დაიწყო ფიქრი...

* * *

მტერი უკან იხევდა და ტყვეებს დასავლეთისკენ ერეკებოდა. 1943 წლის მაისში გოგი ტურაბელიძე საფრანგეთის ტერიტორიაზეა. „ან ეხლა, ან არასოდეს“, — გადაწყვიტეს ქალაქ ეშსიდეის ტყვეთა ბანაკის მკვიდრმა ქართველებმა და ანტიფაშისტური ჯგუფი ჩამოაყალიბეს.

... უკუნი ღამეა. ტურაბელიძე ოცდახუთ კაცთან ერთად რკინიგზის სადგურზე გაგზავნეს სამუშაოდ. ყვეყლაფერი ჩვეულებრივად დიოდა. თავდახრილნი მუშაობდნენ. დარაჯები ლაზღანდარობდნენ.. და ტყვეები ღამის წყვდიადში გაუჩინარდნენ. წინასწარ დათქმულ ადგილზე შეიკრიბნენ, ადეგნებულ მტერს ვაი-ვაგლახით დაუსხლტნენ ხელიდან. და, აჰა, აღსრულდა ოცნება, შურისმაძიებლები სამხრეთ საფრანგეთის ტყეებში მოქმედ „არტურის“ პარტიზანულ ჯგუფს შეუერთდნენ. სისხლი სისხლის წილ, — ეწერათ გულზე გოგი ტურაბელიძესა და მის მეგობრებს — ნიკოლოზ შალამბერიძეს, იონა ხვადაგიანს, ლეო ლეშკაშელს, ზალა მაჩაიძეს, გოგი ლამაზაშვილს, ილია გვასალიას, ვალოდია მიქელაიას, ნიკოლოზ მაისურაძეს, იუსტინე მაჩიტაძეს...

* * *

პარტიზანთა მეკავშირე ფრანგმა ქალიშვილმა ფერნანდიმ ამბავი მოიტანა: ქუმიაკში დგება დამსჯელი რაზმი, თუ არ მოსპეთ, მთელ შემოგარენს ააწიოკებენ, დაარბევენ სოფლებსა და ქალაქებს, ყველას, ვისაც პარტიზანთა მფარველობა ეღება ბრალად. დაყოვნება არ შეიძლებოდა, არტური და გოგი ერთად მოქმედებდნენ. ფრანგების ორმა ოცეულმა პოზიცია გზატკეცილთან დაიჭირა, ქართველებმა კი უზარმაზარი ორმო გათხარეს, რომელიც მოხერხებულად შენიღბეს და თვითონაც იქვე ჩასაფრდნენ. გავიდა ნახევარი საათი და შარაგზაზე შეიარაღებული ფაშისტებით დატვირთული 12 ავტომანქანა გამოჩნდა. მოწინავე მანქანა შენიღბულ ორმოში გადაეშვა, სხვებმა დამუხრუჭება მოასწრეს და ამ დროს ფრანგულად და ქართულად გაისმა ბრძანება — ცეცხლი! თითო-ოროლა მომხდურმა თუ გააღწია სამშვიდობოს...

... ვინც ტყვეობიდან გაქცეულ პარტიზანს დაიჭერს ან მოკლავს, ჯილდოდ 100.000 ფრანკი მიეცესო, ძვირად ფასობდა ქართველი პარტიზანი!

* * *

მრავალთა შორის ყველაზე მეტად ათასეულის მეთაური ემილიო შეითვისა გოგიმ — სხვებისაგან სიმამაცის გარდა, გამჭრიახობითა და მტრის სიძულვილითაც გამოირჩეოდა.

... იმ დღეს პარტიზანები ქალაქ სარლანდის რაიონში იბრძოდნენ. ოპერაციას ემილიო მეთაურობდა. ტურაბელიძის ოცეულს შტაბის დაცვა დაევალა. მოხდა ისე, რომ მტერმა შტაბი აღმოაჩინა და მთელი ძალით შეუტია. ათასეულმაც ვერ გაუძლო ჭარბი ძალების მოზღვავებას და უკან დახევა დაიწყო. ემილიო და ათასეულის კომისარი ჟერმენი შენობაში დაყოვნდნენ. მტერი წინ მიიწევდა. — სასწრაფოდ გაცლა საჭირო! — მოასწენა უფროსს გოგიმ. — მაღლობზე დამელოდეო, უბრძანა ემილიომ და კვლავ შტაბის საიდუმლო საბუთების მოსპობა განაგრძო.

ბრძანება ბრძანებაა, მაგრამ როგორ დაეტოვო განაცდელში უფროსები? — გაიფიქრა გოგიმ და მაღლობისაკენ მიმავალი წუთითაც არ აშორებდა თვალს შტაბის შენობას. როცა ფაშისტებმა სახლს ალყა შემოარტყეს და ცეცხლი წაუკიდეს, გოგის გულმა ვეღარ მოუთმინა, თავისი ბიჭებით უთანასწორო ბრძოლაში ჩაება. თითო ათის წინააღმდეგ იბრძოდა. თავგანწირვამ თავისი გაიტანა — ემილიო და ჟერმენი ქართველმა პარტიზანებმა სამშვიდობოს გაიყვანეს. ემილიომ ბრძანების „დამრღვეველი“ გოგი, მადლობის ნიშნად გულში ჩაიკრა. ქართველი ვაჟკაცის ანთებულ თვალებში კი ყველამ ამოიკითხა, — მადლობა რა სათქმელია, ჩვენ ხომ ძმები ვართ, ემილიო!

* * *

მტერი აღსასრულის მოახლოებას გრძნობდა და კიდევ უფრო მეტი გაბოროტებით იბრძოდა, სადაც ცელი მიუწვდებოდა, ყველგან სიკვდილს თესავდა. პატრიოტებიც ზედიზედ ათავისუფლებდნენ ქალაქებს ანგულემს, ტივეს, ფერიერს, ლაროშელს. პერიგეს... ტურაბელიძის ათასეულმა მოძებნა და ძმათა სასაფლაოზე პატივით დაკრძალა გმირულად დაღუპული სერგო ტურმელაძე და ბანაკში ნაწამები ქართველი ვაჟკაცები: ივანე აბრამიძე, ივანე ჩხენკელი, ეფრემ ებრალიძე, იოსებ ალხანიშვილი, აბელ პეტრიაშვილი, გრიგოლ ჯიჭია, სულიკო აბულაძე და მიტო მორგებაძე, რომელთა გმირობის შესახებ ჩვენს პრესაში ბევრჯერ დაიწერა.

* * *

შორეულ საფრანგეთში მებრძოლი ქართველები გზას საქართველოსადმი გამოთქმული ამ სიმღერით მიიკვლევდნენ:

ჩემო ლამაზო ქვეყანავ,
ჩემო სამშობლო მხარეო,
საფრანგეთში ვიმყოფებით,
დაგიბრუნდებით მალეო!...

და აი გათენდა 9 მაისი.

გამარჯვება! ამ ერთმა სიტყვამ მთელი მსოფლიო ელვის უსწრაფესად მოიარა.

ღირსეულად დააფასა საფრანგეთმა გოგი ტურაბელიძისა და მისი მეგობრების გმირობა. თავიანთი ქვეყნის უმაღლესი ორდენებით მკერდდამშვენებულები გამოისტუმრა სამშობლოში. როცა გოგი ტურაბელიძის პირად არქივს ვათვალიერებდი, იმ ქარიშხლიან დღეთა ამსახველ რამდენიმე დოკუმენტს წავაწყდი. აი ერთი ბრძანების ამონაწერიც:

„ბრძანება № 198.

გვარი — ტურაბელიძე, სახელი — გოგი, წოდება — ლეიტენანტი, საბჭოთა მოქალაქე, რომელმაც წართვლა გერმანელებს დიდძალი შეიარაღება და ტყვია-წამალი, შეუერთდა „მაკის“ ძალებს დოდრონის ჩრდილოეთით, მონაწილეობა მიიღო უამრავ ბრძოლაში, კერძოდ: ბერჟერაკში, ჟუმიაკში, ეშსიდეიში... ყოველთვის პირველი იყო ბრძოლაში, ყოველგვარ ვითარებაში მან გვიჩვენა სამაგალითო მამაცობა და ღირსშესანიშნავი თავდაჭერა, წარდგენილია სამხედრო ჯვარზე ბრინჯაოს ვარსკვლავით.

პოლკოვნიკი რუსელიე, მე-12 სამხედრო ოლქის სარდალი“.

დიახ, იბრძოდა გოგი ტურაბელიძე!

* * *

დაბრუნდნენ სამშობლოში ომგადახდილი ვაჟკაცები, საფრანგეთის მიწაზე რომ ებრძოდნენ მტერს: გოგი ტურაბელიძემ კვლავ მშენებლობას მიჰყო ხელი, მეცნიერებათა კანდიდატები გახდნენ გრიგოლ ნემსაძე და აკაკი ზუბინიძე, ექიმები — ალექსანდრე ცხომარია, ვასილ სტაჯაძე, აგრონომები — კონსტანტინე კირცხელია, დათიკო მშვიდობაძე, ინჟინრები — შოთა მოსიავა, პეტრე ჩხიკვაძე, მექანიზატორი — გიორგი სიხაშვილი, ეკონომისტები — ალექსანდრე შიხაშვილი, კოტე ფხაკაძე.

მადლობის ნიშნად ქუთაისელებმა გოგი ტურაბელიძის ბიუსტი ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დადგეს და, ვინ იცის, რამდენმა დედამ თუ წითელყელსახვევიანმა პიონერმა ჩაწერა შთაბეჭდილების წიგნში მადლობის გულწრფელი სიტყვები...

ყოფილი პარტიზანები ხშირად სტუმრობენ ერთმანეთს და გარდასულ დღეთა ამბებს იგონებენ. გოგი ტურაბელიძის ოჯახის ხშირი სტუმრები არიან გიგლა მეძმარიაშვილი, გიორგი წერეთელი. ნიკოლოზ შალამბერიძე და მისი მეუღლე მარია შიშა, პარტიზანები „მუსიას“ სახელით რომ იცნობდნენ....


ერთ-ერთი შეკრების დროს, რომელიც თბილისში გაიმართა და რომელსაც საფრანგეთის პარტიზანული მოძრაობის ასამდე მონაწილე დაესწრო, გადაწყვიტეს საქართველოში ფრანგი პარტიზანები მოეწვიათ.

1966 წლის აგვისტოს პირველ რიცხვებში საქართველოში სტუმრად იმყოფებოდნენ ფრანგი პარტიზანები: მარსელ გოდეფრუა, როჟე რანუკსი, პოლ ბუსკეი, მარიუს დეპიუი, ჟან ლეპტანგი, ჟან ბეხი, პიერ მორლეასი და მადამ რუბაელი. 21 წლის უნახავმა მეგობრებმა გულში ჩაიკრეს ერთმანეთი. სტუმრებმა თითქმის მთელი საქართველო მოიარეს. რა თქმა უნდა, იყვნენ ქუთაისშიც. ჩვენებური მასპინძლობით მოხიბლულებმა საქვეყნოდ განაცხადეს — ქართველებს მტრისა და მოყვრის დახვედრა ერთნაირად კარგად სცოდნიათო. გამოსათხოვარ ბანკეტზე კი ადამიანებმა, რომელთა მეგობრობა ბრძოლის ჭარცეცხლში გამოიწრთო, პირველი ჭიქით მშვიდობის სადღეგრძელო დალიეს, მშვიდობისა, რომლისთვისაც თითოეულს მრავალჯერ გაუწირავს თავი...

რევაზ მაჭავარიანი



სურათზე: (მარცხნიდან) ყოფილი პარტიზანები: ნიკოლოზ შალამბერიძე, მარია შიშა, გოგი ტურაბელიძე ქუთაისში მასპინძლობენ თადარიგის გენერალს პოლ ბუსკეის.



საფრანგეთში მებრძოლ ქართველ პარტიზანთა ნაკვალევი.

ჟურნალისტის უბის წიგნაკიდან

ელისაბედ II და ელისო III

ღიმილით მოთხრობილი ამბავი

ეს მოხდა მუსიკოს-შემსრულებელთა ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსზე, მოსკოვში. ამ ათიოდე წლის წინათ.

იმ წელს მისი უდიდებულესობა ბელგიის დედოფალი ელისაბედ მეორე — მუსიკის ცნობილი მეცენატი ჩამობრძანდა მოსკოვში, როგორც კონკურსის საპატიო სტუმარი, მაგრამ ჩემთვის, როგორც მოსაღოდნელი იყო, სავიზიტო ბარათი არ გამოუგზავნია. სად მე და სად დედოფალი?! მე ხომ მხოლოდ ჟურნალისტი ვიყავი.

ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტებს, მუპამედისა და მთის იგავისა არ იყოს, თვითონ მიდიან დედოფალთან ინტერვიუს ასაღებად. რას იზამ, როცა მთა შენთან არ მოდის?!

„ელისაბედ II და ელისო III“, — ჩავნიშნე ჩემს უბის წიგნაკში და მე, გელათის სამონასტრო ყმა-გლეხების შორეული შთამომავალი და სამურზაყანოელი აზატების შვილი, ისე ვეახელ ბელგიის ტახტის გვირგვინოსანს, თითქოს სუპერგიგანტი სახელმწიფოს ტახტის შემკვიდრე პრინცი ყოფილიყავი.

გზადაგზა პათეთიკურად ვიმეორებდი პოეტის ცნობილ სტრიქონებს:

„უ სოვეტსკის სობსტვენაია
გორდოსტ,
ნა ბურჟუევ სმოტრიმ ს ვისოკა“.

მეც ზევიდან დავყურებდი დედოფალს (ქანდარაზე ვიჯექი). მაინც ვღელავდი. ფერი არ შედო სახეზე.

მეშინოდა, არ წამომცდენოდა ფრაზა:

— „ამხანაგო ბელგიის დედოფალო“ ან რაღაც სხვა ამის მსგავსი „მკრეხელობა“ არ ჩამედინა და დიპლომატიური ეთიკეტი არ დამერღვია.

ჩემს მღელვარებას ისიც აძლიერებდა, რომ დედოფალს ახლდნენ „უკვდავნი ამა ქვეყნისანი“ — დიმიტრი შოსტაკოვიჩი, არამ ხაჩატურიანი, ემილ გილელსი და სხვა დიდი და მცირე ვარსკვლავები.

მაგრამ ყველაფერი კარგად მიდიოდა.

შესანიშნავი სიტყვა „ამხანაგი“ დროებით გადავივიწყე (რომელი ჩემი ამხანაგი იყო ბელგიის დედოფალი?!) და სულ „თქვენო უდიდებულესობავ!“, „თქვენო ბრწყინვალებავ“ — მეკერა ენაზე.

ისე, კაცმა რომ თქვას, მე უფრო ელისო ვირსალაძეს ვეძებდი ინტერვიუს ასაღებად, და არა ელისაბედ II.

მაგრამ ხდება ხოლმე — 18 წლის გოგოს ეძებ და ხელში სამოცი წლის დედოფალი შეგრჩება.

მთავარია ასეთ ჟამს მომენტი არ გაუშვა ხელიდან.

— თქვენო აღმატებულებავ, — ვამბობ მე და ჩემივე ხმა მაკრთობს.

ეტყობა ძალიან ხმამაღლა მომივიდა. დედოფალმა იმწამსვე მომაქცია ყურადღება.

— თქვენო უდიდებულესობავ, როგორ მოგწონთ ელისო ვირსალაძის საშემსრულებლო ოსტატობა?

გვირგვინოსანმა ოდნავ გაიღიმა.

ეტყობა ასეთი მოწყალე ღიმილი დედოფლისა ერთ იმპერიად ღირდა, როცა ის 18 წლისა იყო, მაგრამ ერთ გლასა ჯუჯა სახელმწიფოდ, ახლაც ღირს, — გავიფიქრე მე, და როგორც გერმანელები იტყვიან, „ყურად გადავიქეცი“.

— როცა ელისო უკრავს, მე თავს ვგრძნობ ალისად საოცრებათა ქვეყანაში..., — მომესმა დედოფლის ხმა და მე მოკრძალების ნიშნად თავი იმდენად დაბლა დავხარე, შემეშინდა ძველქართული „თავ ყანის ცემა“ არ გამომსვლოდა და შუბლით იატაკს არ დავჯახებოდი. სანამ თავი ავწიე, დედოფალი უკვე სხვის კითხვებზე იძლეოდა პასუხს.

მაგრამ ფარ-ხმალი არ დავყარე, იხტიბარი არ გავიტეხე და ისევ შევეკითხე ბელგიის დედოფალს:

— რა აზრისა ხართ კონკურსის მონაწილე სხვა ქართველ პიანისტ ქალთა საშემსრულებლო ოსტატობაზე? (მხედველობაში მყავდა მარინე გოგლიძე-მდივანი და ციალა კვერნაძე).

კვლავ მოწყალედ გადმომხედა დედოფალმა და განუხვნენ ბაგენი მისნი:

— ფრიად მომეწონა თქვენი პიანისტები. მეტად მუსიკალურნი არიან. ისინი ამჟღავნებენ მუსიკოს-შემსრულებელთა თვითმყოფადი სტილის ელემენტებს.

ინტერვიუ დაუყოვნებლივ გადმოვეცი ტელეგრაფით თბილისში.

ბელგიის დედოფალთან საუბარი ძალიან მოკლე აღმოჩნდა და გაზეთ „კომუნისტში“ სულ ასიოდე სტრიქონი ეჭირა. მაგრამ ას წელსაც რომ ვიცხოვრო, არასოდეს დამავიწყდება ის დღე და საათი, როცა მეორედ შევეკითხე დედოფალს:

— თქვენო უდიდებულესობავ, ელისოს მესამე ადგილზე გამოსვლის გამო ელისო III-ს ეძახიან ჟურნალისტები. თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს ნამდვილი დედოფლების წოდების ხელყოფა ხომ არ იქნებოდა?

— ელისო III? — გაიღიმა დედოფალმა, — კარგია! ელისო, მართლაც მუსიკის დედოფალია... შეიძლება მას დედოფლური სახელი მივცეთ — ელისო III.

— ელისო III იქცევა ელისო I-ად, — თქვა ამ დროს ერთმა ევროპელმა ჟურნალისტმა, — ამით განსხვავდებიან მუსიკის დედოფლები ტახტის დედოფლებისაგან.

ახდა მისი ნათქვამი.

დღეს ელისო III ჭეშმარიტად ელისო I გახდა.

...და როდესაც ჩემი პატარა ბიჭი მთხოვს ძილის წინ ზღაპრის მოყოლას, მე მას ვუყვები ჯადოსნურ ზღაპარს იმაზე, თუ როგორ აქცია ფორტეპიანომ დედოფლად ერთი შეხედვით სულ უბრალო პატარა გოგონა ელისო, რომელსაც არა აქვს მეფის გვარი, მაგრამ მუსიკაში არამც თუ დედოფალი, ნამდვილი მეფეა.

და მისი, ალბათ, ყველა დედოფალს შურს დედამიწაზე.

ლადო გახტრიონელი



სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, პიანისტი ემილ გილელსი, ლენინური პრემიის ლაურეატი, კომპოზიტორი დიმიტრი კაბალევსკი, ჟურნალისტი ლადო ბახტრიონელი და ბელგიის დედოფალი ელისაბედ II.

ქალაქ ამფიქლიიდან ვინაში მატარებელს თორმეტი წლის გოგონა ჩაჰყვა. მშობლების ფარულად დაგროვილი ფული ბილეთში გადაისადა და ოცნება აისრულა. ვინაში იგი ცნობილ ბერძენ პოეტთან, ხალხთა შორის მშვიდობის დაცვის ლენინური პრემიის ლაურეატთან — კოსტას ვარნალისთან მიეშურებოდა. გულზე მიიკრა მოსწავლის რვეული, რომელშიც სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსები ეწერა.

ჩია, პირგაუპარსავი კაცი დახვდა, რაღაცას წერდა. გოგონამ ვარნალისი მოიკითხა და მასთან შესვედრა ითხოვა.

— სადღაც აქვია, — მიუგო დამხვდურმა და მოსვლის მიზეზი ჰკითხა. გოგონამ ლექსები გაუწოდა. ჩია კაცმა რვეული სწრაფად ჩაიკითხა, შუაზე გადახია, ნახევრები საქაღალდეში ჩაყარა:

— კოსტასი მე ვარ, ლექსის წერისათვის დრო აღარ დაგვრჩა, უმჯობესია ეს დრო ცოდნის შეძენას მოახმარო!

ერთი წლის შემდეგ მისულ გოგონას მწერალი ისევე მკაცრად დახვდა.

გოგონა მესამედაც მივიდა, სწორედ იმ დღეს, როცა მრავალტანჯული ბერძენი ხალხი ფაშისტ-იმპერიალისტთა მოძალადეებთან გამარჯვებას ზეიმობდა. მასპინძელი გოგონას ღიმილით მიეგება და გაზეთის რედაქტორს მანოლის გლეზოსს ტელეფონით დაუკავშირდა.

— თუ შეიძლებოდეს, ფოტოკორესპონდენტი გამოგვაგზავნეთ, მინდა პოეტ ქალთან სურათი გადავიღო.

მეორე დღეს მკითხველებმა გაზეთის ფურცლებზე უჩინობი პოეტი ქალის ლექსი იხილეს, იქვე იყო სურათი, გოგონასათვის კოსტას ვარნალისს მამაშვილურად მოესვია ხელი, ხოლო ლექსის სათაურზე — „ჩემო სამშობლოვ“, ცნობილ მწერალს წვრილი ასოებით მიეწერა — „გზას გიღოცავ, ელადის პატარა მერცხალო“. სწორედ იმ ლექსზე, საქაღალდეში რომ გადაადგო... იმ დღეებში არალეგალურ გაზეთში დაიბეჭდა მისი მეორე ლექსიც — „ელექტრა“, რომელიც მიეძღვნა ელადის კომუნისტური პარტიის თავდადებულ ქალიშვილს, ბერძენი ხალხის გმირს, ფაშისტთა დილეგში წამებით რომ დაიღუპა... და დაიწყო ფოტულა იანაკოპულუს სამწერლო მოღვაწეობის გზა, რომელიც კოსტას ვარნალისმა დაულოცა.

იმხანად პატრიოტი ქალიშვილი მოხალისედ იბრძოდა ელადის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ არმიაში. ჯერ კიდევ ვიდი წლის გოგონა არალეგალური პიონერული ორგანიზაციის „ათროპულოს“ წევრი იყო და ფაშისტური ოკუპაციის წლებში მონაწილეობდა გერმანელების საწყობიდან ბერძენი რევოლუციონერებისათვის იარაღის გატაცებებში.

არალეგალურად მომუშავე მშობლებმა პატარა ფოტულას ჩაუნერგეს დიდი სიყვარული სამშობლოსადმი და ხიძულვილი ბერძენი ხალხის მტრებისადმი. მღელვარე საბრძოლო დღეებით არის სავსე მისი ცხოვრების გზას. განსაკუთრებით აღსანიშნავია ფოტულას მონაწილეობა გრომოსის მთაზე გამართულ ცხარე ბრძოლებში. მან საკუთარი ზურგით სამშვიდობოზე გაიყვანა შვიდასი ბავშვი. არმიის სარდლობამ მამაცი ქალიშვილი „ელექტრას“ სახელობის ორდენით დააჯილდოვა.

ხანგრძლივმა ომმა დაღი დაასვა ნორჩი მებრძოლის ჯანმრთელობას. ფოტულა სარდლობამ გაგზავნა სამკურნალოდ, სადაც მოუსვენრმა ფოტულამ დაამთავრა რადიო-მორზეს სკოლა და საბერძნეთის დემოკრატიულ არმიაში სპეციალისტად დაბრუნდა. პატრიოტი ქალიშვილი იბრძოდა სწორედ იმ დივიზიაში, რომელშიც ნიკოს ბელოიანისი კომისარი იყო და რომლის რეკომენდაციითაც იგი საბერძნეთის კომუნისტური პარტიის წევრად მიიღეს. საბერძნეთის რევოლუცია რომ დაარბიეს, ფოტულა სამშობლოდან გაიხიზნა.... რუმინეთის ქალაქ ორადიაში სამედიცინო ინსტიტუტში შევიდა სასწავლებლად და წარმატებითაც დაამთავრა. რამდენიმე წლის შემდეგ კი სამშობლოდან ლტოლვილი ბერძენი პოეტი ქალი ფოტულა იანაკოპულუ თბილისის მკვიდრი გახდა. აქ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის ინსტიტუტში. საქართველოს მიწა-წყალი და სტუმართმოყვარე ქართველი ხალხი დიდი სიყვარულით შეხვდა პოეტ ქალს. „ოჰ, საქართველოვ, ტურფაჟ, ჩემო მეორე დედავ“, გიმართავს საქართველოს პოეტი.

„ოჰ, საქართველოვ, დღეს შენთან ყოფნით ვარ ბედნიერი“, — აღიარებს პოეტი ქალი, მაგრამ სამშობლოზე ფიქრი და სევდა მარად თან ახლავს, მარადჟამ ნატრობს: ერთ ფიორ ელინურ მიწას, ნაგლეჯს კვიროსის ნისლისას, ერთ პეშვ კასტალის წყაროს და ზეთისხილის რტოს ორიოდ მარცვლით, ორიოდ ფოთლით. სამშობლოსათვის და სამშობლოს გამო ნაწამებს მარადიულ ოცნებად ჰქცევია დედა და ელადა! პოეტი შეძრწუნებულია სამშობლოს ბედით:

გესმით, ვაფრთხილებ ყველა გარეწარს,
რომ გამოუშვან ყველა ტუსაღი,
მშვიდობის ჰანგი ყველგან დალეწავს,
ყოველგვარ ხუნდებს...
თავისუფლება რომ აგუგუნდეს,
დედამიწაზე მწამს გაიმარჯვებს,
ბორკილიანი ვაჟკაცის ხელი,
ხალხს დაანებეთ წყალი და პური,
თავისი ლუკმა ჰამოს მოლხენით.

მისი ყოველი ლექსი უმღერის თავისუფლებას, მშვიდობასა და ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას. აუღელვებლად არ შეიძლება მკითხველმა წაიკითხოს მისი ავტობიოგრაფიული პოემა „დაუმორჩილებელი გულები“, სადაც მოცემულია განუსაზღვრელი სიყვარული დედისა და მშობელი მიწისადმი. განა სამშობლოსა და დედის დავიწყება შეიძლება? დილეგში მყოფი დედის გახსენებას თან სდევს პოეტის ფარული სევდა. პოეტი ათას ფერებში წარმოიდგენს იმ ნეტარ ჟამს, როცა დევნილი ელადის შვილები თავისუფალ სამშობლოს დაუბრუნდებიან...

ფოტულა იანაკოპულუ 1960 წლის შემოდგომაზე გავიცანი ჟურნალ „საბჭოთა ქალის“ რედაქციაში. იმხანად დავბეჭდე ჩემი ლექსების ციკლი „მშვიდობისათვის მებრძოლი ქალები“, ირანისა და ერაყის თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალიშვილებზე: აბუმა ჰარსზე, მეპიჯე ბორანსა და მარია ფირეზაზე, რომელთაც სამუდამო პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ამ საშინელმა სინამდვილემ შეძრა მსოფლიოს



ელადის მერცხალი



სურათებზე: ფოტულა იანაკოპულუ და მისი წიგნები

კეთილი ნების ადამიანთა გულები. ეს აღმაშფოთებელი განწყობილება ჩემს სულში ჯერაც ბორგავდა, როცა ფოტულას ლექსები გადმომცეს სათარგმნელად... ის მშვენიერი პოეტია, შესანიშნავი ადამიანი და ბრწყინვალე მოკალაქე. ფოტულა შესანიშნავად იცნობს ქართულ მწერლობას და გულმოდგინედ სწავლობს ქართულ ენას.

— პირველი პოეტი, რომელიც საქართველოში გავიცანი, გალაკტიონი იყო, — იგონებს ფოტულა, — წვერდამშვენებული, ანთებული თვალებით, მთრთოლვარე ხმით, დიდი თბილი გულით ჩემს წინ იდგა და მიმეორებდა: — დაიხსომე, ქალიშვილო, რომ ჩვენს დიდებულ ქართულ პოეზიას დვინისა და სისხლის წვეთები ურევია, მინდა დიდხანს ვიცოცხლო, რომ ჩვენს ქვეყანაში გაზრდილი და დამშვენებული გიხილო, ჩვენო შვილობილო ბერძენო ქალო! გალაკტიონის ეს სიტყვები ლოცვად დამებედა. მე საქართველოში გავიზარდე როგორც პოეტი და მრავალ ლექსთა კრებულის ავტორი გავხდი, — კმაყოფილებით დასძენს ფოტულა. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, საქართველოში მცხოვრებ ბერძენ ლტოლვილ მწერალ ქალს — ფოტულა იანაკოპულუს, ჩვენს საყვარელ დასა და მეგობარს, ჯანმრთელობა და დიდი წარმატება ვუსურვოთ.

ნანა გვარიშვილი

ქართული ეკლესიის სტუმარი

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქი პიმენი, რომელსაც თან ახლდნენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წმიდა სინოდის წევრი, მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო ურთიერთობათა განყოფილების თავმჯდომარე, ტულისა და ბელევის მიტროპოლიტი იუვენალი; ვოლოკოლამის მთავარეპისკოპოსი პიტირიმი და სხვანი.

საპატრიარქო სტუმრებს აეროდრომზე დახვდნენ უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი დავით V, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია, ქუთათელ-გაენათელი მიტროპოლიტი რომანოზი, თეთრწყაროელი მიტროპოლიტი ზინობი, ეპისკოპოსი გაიოზ წილკნელი და სხვა სასულიერო პირები.

უწმიდესი პატრიარქი პიმენი და მისი თანმხლები პირები იყვნენ სიონის კათედრალურ ტაძარში, სადაც გარდაცვლილი კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის საფლავზე პატრიარქმა პიმენმა გადაიხადა მცირე პანაშვიდი. სტუმრებმა თაყვანი სცეს წმიდა ნინოს ჯვარს. შემდეგ ეწვივნენ ალავერდის ნეკროპოლისა და დიდუბის, ქვაშვეთისა და მამადავითის ეკლესიებს, დაათვალიერეს მთაწმინდის პანთეონი, იყვნენ მცხეთაში — სვეტიცხოველსა და სამთავროში, სასულიერო სემინარიასა და ჯვრის მონასტერში, თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში და გაეცნენ მისი სიძველის ეკსპონატებს. საპატრიარქო სტუმრებს განმარტებას აძლევდა აკადემიკოსი შალვა ამირანაშვილი.

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა დიმიტრი შალუტაშვილმა მიიღო საპატიო სტუმარი.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმიდესი პატრიარქი პიმენი და მისი თანმხლები პირები ერევანს გაემგზავრნენ.

დ ე დ ა ე ნ ა?!

ისმინე, სწავლის მაძებნელო!

უთუოდ მისასალმებელია და საქებური გაზეთ „სამშობლოს" დროული წამოწყება — ადგილი დაუთმოს თავის ფურცლებზე ქართული დამწერლობის შემსწავლელთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოს, რომელიც ნაწილ-ნაწილ ქვეყნდება და რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერი პროფესორი ვალერიან რამიშვილი. ამ ფართოდ მოფიქრებული სისტემატური სახელმძღვანელოს საანბანო ნაწილის ბეჭდვა უკვე მომთავრებულია და, ვიმედოვნებთ, მას მოჰყვება საკითხავი მასალა, ესევე სისტემატური წესით დალაგებული ან ამსახველი ჩვენი ენის მდიდარი გრამატიკული აღნაგობისა. ჩვენ შევიძინეთ კიდევ ერთი ნაშრომი, რომელიც არსებულ საანბანო წიგნთა შორის გამოირჩევა ახლებური გაშუქებითა და გააზრებით.

ქართული დამწერლობა არა მარტო იმით არის შესანიშნავი, რომ მას მსოფლიოში გავრცელებულ ანბანთა სისტემებში თავისებური ადგილი უკავია, არამედ ყურადღებას იქცევს ორთოგრაფიის უბრალოებითაც, რაც ჩვენი ანბანის ღირსებებზე მეტყველებს. ცნობილია, რომ ძველმწერლობიანი ენის ორთოგრაფია უფრო რთულია, ვიდრე ახალმწერლობიანისა. იმის მიუხედავად, რომ ქართული ძველმწერლობიანი ენაა, მის ორთოგრაფიას ახასიათებს ძნელად მისაღწევი სიმარტივე: წარმოთქმასა და დამწერლობას შორის სრული შესაბამისობაა. ფონეტიკური პრინციპი ჩვენს ენაში თანმიმდევრულად არის გატარებული. ამ პრინციპის თანახმად სიტყვა უნდა იწერებოდეს წარმოთქმისამებრ. ქართული ორთოგრაფიის ეს ღირსება აღიარებულია საერთაშორისო ფონეტიკურ ლიტერატურაში. აი რას ამბობს, მაგალითად, ცნობილი რუსი ენათმეცნიერი პ. უსლარი: ქართული ანბანი „ყველაზე სრულყოფილია არსებულ ალფაბეტებს შორის. ყოველი ბგერა გამოითქმება განსაკუთრებული ნიშნით, ხოლო ყოველი ნიშანი გამოხატავს ერთსა და იმავე ბგერას. ყველა ევროპულ ენაში დიდ დაბრკოლებას ქმნის ორთოგრაფია. ქართველისათვის, მისი ალფაბეტის სრულყოფილობის მეოხებით, ეს დაბრკოლება არ არსებობს". დამწერლობათა სისტემების კვლევაში დიდი ავტორიტეტი, თანამედროვე ინგლისელი მეცნიერი დ. დირინგერი თავის კლასიკურ წიგნში „ალფაბეტი" ეყრდნობა და იმოწმებს გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერის ალენის სიტყვებს: „ქართული ალფაბეტი წარმოადგენს ამ ენის მთელი სიმდიდრისა და მრავალფეროვანი ბგერების გამოხატვის სრულყოფილ ინსტრუმენტს. ასოები გადმოსცემენ ბგერებს ზუსტად და ნათლად. ამ მხრივ მას ვერც ერთი ალფაბეტი ვერ შეედრება. ქართული დამწერლობა, ისევე როგორც ქართული ენა, ძველი და თვითმყოფადია".

ვალერიან რამიშვილის ნაშრომი შედგენილია იაკობ გოგებაშვილის „დედაენის" პრინციპების გამოყენებით. აქ გათვალისწინებულია თანამედროვე ფონეტიკის, ფსიქოლოგიისა და მეთოდიკის ახალი მიღწევები და, ამდენად, იგი გოგებაშვილისეული კლასიკური სახელმძღვანელოს შემოქმედებითი გადამუშავების ნიშნით არის აღბეჭდილი. აქვე გამოხატულებას პოვებს ახალი ყოფის ამსახველი ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის მონაცემები. აღსანიშნავია, რომ ნაშრომში გამოყენებულია კალიგრაფიის გოგებაშვილისეული ოთხხაზიანი ბადე, რაც საგრძნობლად აადვილებს წერის ხელოვნების დაუფლებას.

სრული იმედია, საზღვარგარეთელი ქართველი ახალგაზრდობა, ვინც მოწოდებულია დაეუფლოს ქართულ დამწერლობას, გაზეთ „სამშობლოს" ფურცლებზე გამოქვეყნებულ საანბანო სახელმძღვანელოს მარჯვედ გამოიყენებს და გაზეთის რედაქციას თავის შთაბეჭდილებებსაც მოაწვდის.

სულითა და გულით ვუსურვებ ქართული ანბანის შემსწავლელთ წარმატებებს, რამეთუ ისინი ეზიარებიან ქართული დამწერლობის სამყაროს, შეიტკბობენ მის სურნელებას, შნოსა და ლაზათს.

შოთა ძიძიგური,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგე

მერცხლად მოფრენილი საქართველოდან

„სამშობლომ" უკვე დაბეჭდა საზღვარგარეთელ ქართველთათვის დედაენის 32 გაკვეთილი. ამით ქართული ანბანი ამოიწურა. ახლა იგი „ანიდან — ჰაემდე" მსოფლიოს მრავალ მხარეს გადასწვდა, კეთილგანზრახვით ქართული ზანზალაკი აახმიანოს!

წელს, თითქმის მთელი წლის განმავლობაში, გაზეთს გულისხმიერ თანამგზავრად მიჰყვებოდა დედაენის შესწავლის გოგებაშვილისეული კონა (ვალერიან რამიშვილის რედაქციით).

„სამშობლოს" ფურცლებმა, ალბათ რამდენ „ანაბანადაკარგულ" ქართველთა ოჯახების კარს მიუკაკუნეს, მერცხლად მიუფრინეს საქართველოდან ჩვენი ასო და სიტყვა... თავის წინაპრების ნათელ საწიგნეთს კვლავ აზიარეს.

ეს — გულით ახლო ყოფნა და თავისებური დაბრუნებაა სამშობლოში... მშობლიურ ერთან შეგულისხმება! სადაც არ უნდა იყოს ერის კაცი, თავისი ენისა და დამწერლობის მფლობელი — სულიერ ღატაკად ვერ ჩაითვლების!

ამიერით, ვისაც გული შესტკივა და ჩვენ დედაენურად უძგერს, არც მეხსიერება ღალატობს, შეუძლია შეაგროვოს წლევანდელი „სამშობლო" და მიიღოს მერცხალა კონა. ეს დედაენა იქონიოს, როგორც შეხსენება საქართველოს მიწა-წყლისა, რარიგ შორს არ იყოს იგი კავკასიიდან.

...და სწორედ ამიტომ, ეს ვიწრო საგაზეთო სვეტი დედაენისა, გვესახება უწყვეტ ბილიკად, უცხოობიდან — სამშობლოსკენ ფიზიკური თუ სულიერი მობრუნებისა! და ქართველმა ბავშვმა თუ მოზრდილმა, რომელმაც არ იცის მშობლიური წერა-კითხვა — ისწავლოს... ისწავლოს... და იგი რაცხოს თავის დედათა დედად!

დიდი და კეთილშობილი საქმე გააკეთა გაზეთ „სამშობლოს" რედაქციამ და მისმა გამომცემელმა საზოგადოებამ... მაგრამ, არსებითად დედაენის სწავლა არასოდეს არ თავდება, ისევე როგორც არ თავდება სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა... და საერთოდ, რამ გაარიგა ქართული ანბანა, მიწა-წყალი და ბუნების კარი?!.. და ახლა, ისევ და ისევ იაკობ გოგებაშვილის კვალით „ბუნების კარიც" უნდა დამუშავდეს და მოჰყვეს „დედაენას".

ვფიქრობთ „სამშობლო" ამასაც გააკეთებს, რითაც უფრო გააღრმავებს და გაადიდებს იმ ურთიერთობასა და ამაგს, რომელსაც ეწევა ქართველი ერის მიმართ გარეთ თუ შინა...

ლევან გოთუა

ერის ცხოვრება, ერის დიდება, მის ისტორია
დაცულ არს ენით.
გრიგოლ ორბელიანი

საშვილიშვილო მადლიანი საქმე

ჩვენს დედაენას თავისებური ბუნება-აგებულება აქვს, პიროვნებას, რომელიც ამ ენაზე მეტყველებს, მოეთხოვება პატივი სცეს დედაენას, დაიცვას მისი სიწმინდე და კანონ-წესები, ვინაიდან ენა პიროვნების კუთვნილება კი არ არის, არამედ საზოგადოების, ერის საკუთრებაა

დედაენა არა მარტო ადამიანთა ურთიერთობისა და აზრის გამოხატვის საშუალებაა, არამედ ადამიანთა სულიერი ცხოვრების, აზროვნების შემოქმედია, ფსიქიური ძალების გამავითარებელი და გამამდიდრებელია.

გაზეთმა „სამშობლომ" უაღრესად კეთილშობილური საშვილიშვილო საქმე გააკეთა იმით, რომ ჩვენს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს მიაწოდა დედაენის გაკვეთილები, ისიც მისასალმებელია, რომ ამ მეტად ფაქიზი და რთული საქმის მოგვარება მიანდო ამ დარგის ცნობილ სპეციალისტს, პროფესორ ვალერიან რამიშვილს, რომელიც ათეული წლების მანძილზე ემსახურება ქართული ენისა და მისი სწავლების მეთოდიკის საშვილიშვილო საქმეს და თავგამოდებით იღწვის, რათა ჯეროვნად იქნეს დაფასებული ქართული პედაგოგიკის ფუძემდებლის, იაკობ გოგებაშვილის დიდი პედაგოგიურ-მეთოდიკური და ლიტერატურული მემკვიდრეობა.

გაზეთში გამოქვეყნებული საანბანო გაკვეთილები წარმოადგენს იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური პროგრესული მოძღვრების შემოქმედებითად განვითარების საუკეთესო ნიმუშს. თითოეული გაკვეთილი პედაგოგიკურ-მეთოდიკური თვალსაზრისით სწორადაა გააზრებული და აგებული. თითოეული ასო-ბგერის გასაცნობი სიტყვა და კითხვაში გასაწაფავი მასალა, აგრეთვე წერითი სავარჯიშოები ემყარება იაკობ გოგებაშვილის დედაენის აგების გრაფიკულ, ფონეტიკურსა და სემანტიკურ პრინციპებს: გრაფიკულად მსგავსი ასოები (ს, ხ, ძ, მ, შ, დ, ღ, ლ და ა. შ.) მიჯრით არის მოთავსებული, რათა გაადვილდეს ქართული ნატიფი მოხაზულობის ასოების კითხვისა და წერის სწავლება.

თანამედროვე ქართული მეცნიერული ფონეტიკის მიღწევათა საფუძველზე შერჩეულია ფონეტიკურად მარტივი აგებულების სიტყვები, რასაც იაკობ გოგებაშვილი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ამ მხრივ საყურადღებოა „სამშობლოში" დაბეჭდილ „დედაენაში" საანალიზო სიტყვის შერჩევა, როგორიცაა „თასი" (ასო-ბგერა ს-ს გასაცნობად); „შოშია" (შ-ს გასაცნობად); „ოფოფი" (ფ-ს გასაცნობად); „ვაზი" (ზ-ს გასაცნობად); „ბარი" (ბ-ს გასაცნობად); „კამეჩი" (ჩ-ს გასაცნობად); „ხიდი" (დ-ს გასაცნობად); „ღამურა" (ღ-ს გასაცნობად); „კოდალა" (ლ-ს გასაცნობად); „ლიმონი" (ნ-ს გასაცნობად) და ა. შ.

დაცულია და განვითარებულია იაკობ გოგებაშვილისეული სემანტიკური პრინციპი ნორმალური სიტყვების (ასო-ბგერის გასაცნობი პირველი სიტყვა) შერჩევის თვალსაზრისით; ოცდათორმეტივე სიტყვა მხოლოდ არსებითი სახელია, რომელთა დასურათება კარგად ხერხდება. საკითხავი მასალა გამართულია ენობრივი და დიდაქტიკური თვალსაზრისით. ავტორს მასში აქაიქ ქართული ხალხური ანდაზებიც მოხდენილად ჩაურთავს. კარგია, რომ საკითხავ მასალას თან ახლავს საწერი სავარჯიშოები გოგებაშვილისეულ ოთხხაზიან წერის ბადეში მოთავსებული. ქართული დაწერილობა ოთხხაზოვანია და ქართული წერის სწავლება ამ ბადით დასაწყის ეტაპზე აუცილებელია.

სასურველია, გაგრძელდეს დედაენის გაკვეთილები. ანბანის შემდგომ უნდა მოთავსდეს სიუჟეტური ტექსტები: ლექსები, მოთხრობები, ზღაპრები, იგავ-არაკები, სტატიები, რისი კითხვაც განამტკიცებს წერა-კითხვის სწავლების პროცესში შეძენილ ცოდნა-ჩვევას, გარდა ამისა, ხელს შეუწყობს საზღვარგარეთელ თანამემამულეებს მშობლიური მხარის ბუნების, ქართველი ხალხის ისტორიისა და თანამედროვე ყოფაცხოვრების, ქართული ენის ბუნებისა და მდიდარი ლიტერატურის შესწავლაში. ოღონდ, ჩვენი აზრით, საკითხავი მასალა დიდი დაკვირვებით უნდა შეირჩეს, რათა აღვივებდეს სამშობლოს სიყვარულის გრძნობას და ამავე დროს მისაწვდომი იყოს როგორც მოზრდილთათვის, ისე პატარებისათვის. საჭიროა მოთავსდეს ქართული სიმღერების ნოტები სათანადო ტექსტებით. კარგად უნდა დასურათდეს მასალა. საკითხავი მასალა და ილუსტრაციები უნდა ასახავდეს როგორც ქართველი ხალხის გმირულ წარსულს, ისე ჩვენს დიად საბჭოთა სინამდვილეს.

ბორის კანდელაკი,
რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი.

ჩემი სიხარული

ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამეხარდა, როდესაც „სამშობლოს" 1972 წლის პირველ ნომერში წავიკითხე მიმართვა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებისადმი: „არ დაივიწყოთ, ისწავლეთ მშობლიური ქართული" და იქვე მოთავსებული ანბანის დასაწყისი „აი ია", „თათი".

წარმოიდგინეთ, რა დიდი დახმარებაა მათთვის, ვინც მოწყვეტილია სამშობლოს და ეძლევა ხელმისაწვდომი, იოლი საშუალება ასწავლოს თავის შვილს თუ შვილიშვილს მშობლიური ენა!

რამდენი მამა თუ დედა, პაპა და ბებია გაიხარებს ამ ფურცლებით!

აი, მეოცე ნომერში დასრულდა „დედაენის" გაკვეთილები. თუ უფროსს თაობას ახსოვს კიდევ ქართული, უეჭველად ისარგებლებდა სიყვარულით მიწოდებული ამ ანბანით, გაიხარებდა თვითონ და ასწავლიდა თავის პირმშოს ქართულად კითხვასა და წერას.

როგორც შევიტყვე, „სამშობლოს" რედაქციას აქვს სურვილი კვლავ მიაწოდოს ამ თაობას საბავშვო ლექსები და მოთხრობები, რაც თანდათანობით უფრო შეაყვარებს ჩვენს პატარა თანამემამულეებს ქართულ ენასა და საქართველოს. მე პირადად ქართული წერა-კითხვა დედამ მასწავლა, როცა ექვსი წლისა ვიყავი. ანბანს ერთი კვირის განმავლობაში დავეუფლე და მას აქეთ წიგნი გახდა ჩემი სანუკვარი საგანი.

წმინდა ნინოს სასწავლებელში ყველა საგნებს რუსულად გვასწავლიდნენ, ქართული ენისათვის კვირაში მხოლოდ ერთი საათი იყო განკუთვნილი, ისიც მეექვსე გაკვეთილი.

ქართულ ენას გვასწავლიდა ივანე როსტომაშვილი.

გავიარეთ იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა" და „ბუნების კარი" და ამით ამოიწურა ჩვენი ქართული ენის სწავლა...

მე დღესაც მახსოვს ყოველი ლექსი და მოთხრობა. ეს წიგნი იყო საძირკველი ჩემი მომავლისა.

და კიდევ ერთი სიხარული: 1965 წელს, როდესაც შესრულდა იაკობ გოგებაშვილის დაბადების 120 წელი, დაარსდა მისი სახელობის მედალი, რომლითაც ჯილდოვდებიან სახალხო განათლების ღვაწლმოსილი პედაგოგები. ამ მედლით რამდენიმე მწერალიც დააჯილდოვეს და მათ შორის მეც ვარ.

ამრიგად იაკობ გოგებაშვილის სახე ლამპარივით აშუქებს მთელ ჩემს განვლილ გზას.

მარიჯანი

დაგეძებენ, მოგელიან

იოსებ (კროცო) ივანეს ძე ბიწკინაშვილს,
დაბადებულს 1921 წელს გურჯაანის რაიონის სოფელ შაშიანში, ეძებენ მამა — **ივანე**, დედა — **მაშო**, მეუღლე — **ელენე**, შვილი — **ამზა**, შვილიშვილი — **იოსებ ბიწკინაშვილები**, მცხოვრებნი სოფელ შაშიანში.

შალიკო ნიკოლოზის ძე ჩახნაშვილს,
დაბადებულს 1919 წელს სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში, ეძებს ძმა — **გიორგი ჩახნაშვილი**, მცხოვრები სოფელ საქობოში.

გიორგი ერემიას ძე სხირტლაძეს,
დაბადებულს 1919 წ. ონის რაიონის სოფელ მთის კალთაში, ეძებენ მამა — **ერემია**, დედა — **ლალანა**, ძმა — **აბელი**, ძმისწული — **გიორგი**, დები — **მარუსა და ვარა სხირტლაძეები**, მცხოვრებნი თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა № 15.

ვახტანგ ერმალოს ძე ახვლედიანს,
დაბადებულს 1922 წელს დაბა ვანში, ეძებს დედა — **ანა (ანიჩკა) მიხეილის ასული ახვლედიანი**, მცხოვრები დაბა ვანში.

რედაქტორი *გივი ქარბელაშვილი*

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს" რედაქცია — თბილისი 8, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი 26, ათონელის ქუჩა № 25.